# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 25 დეკემბერი, 2015 წელი.

№243 (7888)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.


**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!...**

## ჩვენთან „დაუპურებელი“ სამართალი ნისლიან ალბიონზე „დანაყრდა!“



**სამეფო სასამართლო ქართული მართლმსაჯულების გადასარჩენად**

③

## დემურ გიორხელიძე:

**ეკონომიკაში სტაბილიზაცია კი გვაქვს, მაგრამ ისეთივე, როგორიც სასაფლაოზეა**

④

## ვახტანგ ძაბირაძე:

**„გაბუტული ბიუროკრატია“ სერიოზულ პრობლემას უქმნის ქვეყანას**

⑤

## პრეზიდენტმა მთავრობის მოვალეობის შესრულება იმავე შემადგენლობას დააკისრა



**საქართველოს პრეზიდენტმა განკარგულება გამოსცა მთავრობისათვის მოვალეობის დაკისრების შესახებ.**

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა მედიასთან განცხადება გააკეთა. როგორც გიორგი კვერენჩხილაძემ აღნიშნა, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის საფუძველზეც საქართველოს მთავრობის იმავე შემადგენლობას დააკისრა მთავრობის მოვალეობის შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე.

**„კონსტიტუციის მიხედვით ახლა საქართველოს პარლამენტი, საპარლამენტო უმრავლესობა საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს და დღევანდელი დღიდან შვიდი დღის ვადაში პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს წამოაყენებს ოფიციალურად და წარუდგენს მას პარლამენტს,“** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ.

## პარლამენტი მთავრობის საკითხზე 28-29 დეკემბერს იმსჯელებს



**ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მთავრობაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს გამოეხმაურა და საკანონმდებლო ორგანოს მიერ მთავრობის დამტკიცების კონსტიტუციური პროცედურები განმარტა.**

უსუფაშვილის ცნობით, პრეზიდენტმა განკარგულება გამოსცა და მოქმედ მთავრობას უფლებამოსილება დააკისრა. აქედან გამომდინარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მინისტრები ჰყავს, რომლებიც მუშაობას სრულფასოვნად გააგრძელებენ.

**„სანამ პარლამენტი ახლა მთავრობას არ დაამტკიცებს, უფლებამოსილებას მოქმედი მინისტრები შეასრულებენ. შვიდი დღის განმავლობაში, უმრავლესობამ მომავალი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი უნდა გამოკვეთოს და ის პრეზიდენტს წარუდგინოს, რომელიც ამ კანდიდატს წამოაყენებს. შემდგომ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებას დაიწყებს და სამთავრობო პროგრამას წარადგენს“,** — აცხადებს უსუფაშვილი.

სპიკერის ინფორმაციით, მინისტრობის კანდიდატებს ფრაქციები და კომიტეტები მოუსმენენ, ბიუროს შემაჯამებელი სხდომის შემდეგ კი, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხზე სესიაზე იმსჯელებენ.

**„წინასწარი ვარაუდით, ამ რეჟიმში, შეიძლება, 28-29 დეკემბერს ვიმუშაოთ. ეს ყველაზე ოპტიმალურია, თუმცა, ვადები გვაქვს და შეგვიძლია, 14-15 იანვრამდე ამ რეჟიმში ვიყოთ“,** — განაცხადა სპიკერმა.

უსუფაშვილი არ გამორიცხავს, რომ 28 დეკემბერს, თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში, მინისტრობის კანდიდატებს საკომიტეტო და ფრაქციების ფორმატში მოუსმინონ, ხოლო 29 დეკემბერს ქუთაისში პლენარული სხდომა გაიმართება.

## ერმა თავი უნდა გადაირჩინოს!

### საქართველოს მოსახლეობის გასაგონად!

**ეს არის ჩემი საფიქრალი: ან გავნათლდეთ და ან გავმრავლდეთ, ორივე ერთად თუ მოხერხდება, ის უკეთესია.**

**ვაჟა-ფშაველა.**

თანამემამულენო, 2015 წლის 11 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოების წარმომადგენლებმა მოისმინეს გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-მამულიშვილის, დემოგრაფის, პროფესორ ანზორ თოთაძის გულისმომკვლელი, მაგრამ მაინც ოპტიმისტური... მოხსენება: **მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფა ერმა უნდა აიცილოს! ანუ ერმა თავი უნდა გადაირჩინოს!** რასაც უცილობლად ვიზიარებთ და ყველა ვუერთდებით სამტრედიელ მევაგონეთა (უფროსი ავთანდილ ტორონჯაძე, საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ისიდორე ჯანელიძე) ცენტრალურ პრესაში სამგზის გახმიანებულ მოწოდებას: 1. „ცუდას რად უნდა მტერობა...“ ხმა ღვთისა, ხმა ერისა სამტრედიიდან (გაზ „სრ“ 24,10,2008), 2. „საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ფონდს ყველა ქართველი უნდა შეეწიოს!“ დევიზი: დიდი საქმენი „წვრილი ერის“ თანადგომისა და მონაწილეობის გარეშე სრულყოფილი ვერ იქნებიან! (გაზ. „სრ“ 26,04,2013წ), 3. „ნათქვამია, ღმერთი სამობით არისო“, გაზ. „ლს“ 23,05,2014წ.



იხ. 4 გვ.


**სრ**

**6 თვე - 60 ლარი**

**გამოიწერე 2016 წლის პირველი ნახევრის 120 ნომერი**

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.



ჩვენი მისამართია ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7. ხელმოწერის ინდექსი 66434

## პატრიარქის აღსაყდრებიდან 38 წელი გავიდა



**დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრებიდან 38 წლისთავი აღინიშნება.**

**მისი აღსაყდრება 1977 წლის 25 დეკემბერს, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა.**

„მახსენდება ის პერიოდი, როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ამირჩიეს და ის კურთხეული დღე, როცა შედგა ჩემი ინტრონიზაცია სვეტიცხოველში; როცა კათედრაზე მოვიყარე მუხლი და ლოცვებს კითხულობდნენ ჩემს თავზე, კარგად მესმოდა ის პასუხისმგებლობა და სიმძიმე ჯვარისა, რომელიც უფალმა მარგუნა. მაგრამ ვიცოდი და თქვენც უნდა იცოდეთ, რომ, როდესაც უფალი ადამიანს ჯვარს ანიჭებს, იგივე უფალი შველის მის ტვირთვაში და მეც მუდამ ვგრძნობდი ღვთის მარჯვენის შემწეობას“, — იხსენებს პატრიარქი.

საპატრიარქოს განცხადებით, ამ თარიღისადმი მიძღვნილი ღვთისმსახურება დღეს სამების საპატრიარქო ტაძარში 10 საათზე დაიწყება.

## ბრიუსელიდან ისევ კარგი ამბავი მოვიდა



**პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი საქართველოს ულოცავს, რომ ბელგიამ რატიფიკაციაჰყო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება.**

რიგგარეშე სხდომაზე უსუფაშვილი ბელგიის პარლამენტის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ბრიუსელიდან ისევ კარგი ამბავი მოვიდა .

„ბელგია ევროკავშირის ქვეყნებიდან 28-ე, ბოლო ქვეყანა იყო, რომელსაც რატიფიკაცია დასრულებული არ ჰქონდა. მან ეს პროცესი დაასრულა და დღევანდელი მდგომარეობით, ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება ევროპის ყველა სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებულია“, — განაცხადა უსუფაშვილმა.

## 2016 წლის მეორე ნახევრიდან უვიზო რეჟიმი ამოქმედდება

**ევროკავშირი გეგმავს უკრაინასთან, საქართველოსთან და კოსოვოსთან უვიზო რეჟიმის შემოღებას 2016 წლის მეორე ნახევარში.**

**ამის შესახებ რუსეთის ფედერაციაში ევროკავშირის ელჩმა ვიგაუდას უშაცკასმა „რია ნოვოსტისთან“ ინტერვიუში განაცხადა.**

,,ევროკომისიის გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ უკრაინა, საქართველო და კოსოვო შეესაბამებიან იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია უვიზო რეჟიმის შემოღებისთვის. მომდევნო ნაბიჯი — საკანონმდებლო პროცესია. ევროკომისია ფორმალურად წარადგენს ახალ კანონმდებლობას, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა და ევროპარლამენტმა კი, ის უნდა დაამტკიცონ“, — განაცხადა უშაცკასმა.

მისივე თქმით, ,,ზუსტად ვერ იტყვი, რამდენ დროს მოითხოვს ეს“. თუმცა, ელჩის ვარაუდით, ამ ქვეყნებისთვის უვიზო რეჟიმი მომდევნო წელს ამოქმედდება.

## მედიასთან საუბარი არ ისურვეს

**ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი ვიცე-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის დედის დაკრძალვაზე ამაღლების ტაძარში ერთად იმყოფებოდნენ, თუმცა, არც ერთ მათგანს მედიასთან კომენტარი არ გაუკეთებია.** ჟურნალისტები თანამდებობიდან ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის მიზეზებით დაინტერესდნენ, თუმცა, ამაოდ. ივანიშვილმა და ღარიბაშვილმა ტერიტორიაც ერთად დატოვეს.

## უმცირესობა მინისტრობის კანდიდატებთან შეხვედრას ქუთაისში ითხოვს

**შესაბამისი განცხადება ბიუროს გუშინდელ სხდომაზე უმცირესობის წევრმა დავით დარჩიაშვილმა გააკეთა.**

**დეპუტატის განმარტებით, კონსტიტუციურად ეს უფრო სწორი იქნება.**

როგორც მის პასუხად პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, უმცირესობის წევრები პარლამენტის თბილისში მდებარე შენობაში როგორც ბიუროს, ისე კომიტეტის სხდომებს ესწრებიან, ამიტომ უმცირესობის მოთხოვნა გარკვეულწილად შეუსაბამოა.

„თუ ეს თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხია და ამბობთ, რომ კონსტიტუციიდან გამომდინარე, თბილისში ამ შეხვედრების გამართვა არ შეგიძლიათ, ძალი-



ან კარგი, განაცხადეთ და იყავით თანმიმდევრული. ეს თქვენი გადასაწყვეტია. მაგრამ როგორ იმუშავებს პარლამენტი, ეს თქვენი გადასაწყვეტი აღარ არის. ეს პარლამენტის და ბიუროს გადასაწყვეტია. თუ გნებავთ, თქვენი პარალელური კონსტიტუციით იცხოვრეთ, როგორც გნებავთ ისე მოიქეცით“, — მიუგო უსუფაშვილმა დარჩიაშვილს.

## მოგონილი ამბავია თითქოს ღარიბაშვილი პარტიის შექმნას ფიქრობს



**ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი ფიქრობს, რომ მოგონილი ამბავია, თითქოს, ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას ფიქრობს.**

როგორც ვოლსკიმ განაცხადა, ეს თემა მოგონილია, რომელიც ოპონენტებს აჟიოტაჟისთვის სჭირდებათ.

„ირაკლი ღირსეული წევრი და ლიდერია იმ ჯგუფისა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია“, — დასძენს ვოლსკი.

## მინდა, ყველას ვუთხრა, შევინარჩუნოთ აბსოლუტური სიმშვიდე



**იმის გათვალისწებით, რომ პირნათელი ვარ ჩემი სამშობლოსა და საქმის წინაშე, ძალიან მშვიდად და მართლად ვგრძნობ თავს, — განუცხადა ჟურნალისტებს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გელა დუმბაძემ.**

მისი თქმით, მისთვის მისაღებია პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურა.

„ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გადადგა. მინდა, ყველას ვუთხრა, შევინარჩუნოთ აბსოლუტური სიმშვიდე, რამდენიმე დღეში გაირკვევა ახალი მინისტრთა კაბინეტი. კანდიდატებს შორის დასახელებულია ბატონი გიორგი კვირიკაშვილი. აბსოლუტურად მისაღებია, ის არის ძალიან კარგი ადამიანი, ძალიან კარგი პროფესიონალი. ვფიქრობ, იქნება ღირსეული ხალხი, ვინც გააგრძელებს წამოწყებულ რეფორმებს და საქმეს. მე ვერ გეტყვით, ვიქნები თუ არა“, — განაცხადა გელა დუმბაძემ.

## ზოგს ხელფასი არა აქვს, ზოგი კი მეცამეტესაც აიღებს



**2015 წლის ბიუჯეტში ცვლილებით, დაახლოებით 7 მილიონ ლარამდე თანხა გადანაწილდება ორ მიმართულებაზე, კერძოდ, სოციალური მიმართულების დასაფინანსებლად და ე.წ. მეცამეტე ხელფასის გასაცემად.**

თბილისის საკრებულომ 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილება დაამტკიცა. საკითხი სხდომაზე თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ლევან თევზაიამ წარადგინა.

როგორც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ჯაბა სამუშიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, მთელი წლის მანძილზე თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერების მიხედვით რჩება გარკვეული ეკონომიები.

მისი თქმით, წლის ბოლოს თბილისის მთავრობამ და საკრებულომ გადაწყვიტა, ეს თანხები იმ მიმართულებებზე გადაანაწილოს, რომელიც მოსახლეობას სჭირდება.

,,თანხები გადანაწილდება ორი მიმართულებით, სოციალურ მიმართულებაზე გათვალისწინებულია 1 300 000 ლარი და დაახლოებით 5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება თბილისის მერიის სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანების ე.წ. მეცამეტე ხელფასის გასაცემად, ესენია: ავტობუსის მძღოლები, საბავშვო ბაღების პედაგოგები, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები, სახელოვნებო სკოლების პედაგოგები, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლები. სულ 20 000 ადამიანი ე.წ. მეცამეტე ხელფასს მიიღებს“, — განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

## როდის გაიწმინდება პოლიცია მოძალადეებისგან?

**საქართველოს მთავარი პროკურატურის ცნობით, სახალხო დამცველის აპარატიდან შესული წინადადების საფუძველზე მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ძალადობის გამოყენებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.**

ცნობისთვის: სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს მოქალაქე დ.ხ.-ს მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ.



როგორც სახალხო დამცველის აპარატი იტყობინება, განმცხადებლის განმარტებით, 2015 წლის 4 ნოემბერს, დაახლოებით 23:00 საათზე, თბილისში, იგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს და ჩასვეს ავტომანქანაში, სადაც ერთ-ერთმა პოლიციელმა სახის არეში დაარტყა. შემდეგ დაკავებული გადაიყვანეს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-8 განყოფილებაში, შეიყვანეს ერთ-ერთ ოთახში და მასზე ფიზიკური ძალადობა განახორციელეს.

დ.ხ.-ს სხეულზე არსებული დაზიანებები დაფიქსირებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისისა და მცხეთა—მთიანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორის გარეგნული დათვალიერების ოქმში.

მოქალაქის თქმით, პოლიციელების მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ძალადობის გამო მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება და 2015 წლის 10 ნოემბერს თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია.

**18 დეკემბერს, როცა საქართველო ვიზალიბერალიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას ზეიმობდა, დიდი ბრიტანეთის სამეფო სასამართლომ ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება.**

**თუ სამართლისა და საღი აზრისადმი პატივისცემა შეგვრჩენია, ლონდონის სამეფო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ საქართველოს ყველა მოქალაქე და, უპირველეს ყოვლისა, ქართული ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლები უნდა ჩააფიქროს. დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდება — მოვა დრო, როცა საქართველოს მოქალაქეს სამართლის ძებნა ლონდონსა თუ ჰააგაში არ მოუწევს.**

**საქართველოში კი ვითარება ასეთია: 2015 წლის 9 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი სულაკაძემ, ბრიტანულის ანალოგიურ საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება და მოპასუხეს ვანო ჩხარტიშვილის სასარგებლოდ ქონების დაბრუნება დააკისრა:**

**„2. შპს „აგრიკომს“ შპს „ფოთის წისქვილქარხნის“ სასარგებლოდ დაეკისროს თანხა ჯამში 14 427 000 აშშ დოლარი. აღსასრულებ თანხად განისაზღვროს გადაწყვეტილების აღსრულების მომენტში შპს „აგრიკომის“ დავალიანების ოდენობა (ძირითადი თანხა, პროცენტი, საურავი) - გამომდინარე 2007 წლის ოქტომბრის № 509024 გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებიდან, უზრუნველყოფილი 2011 წლის 25 ნოემბრის №509024-ჟ იპოთეკის ხელშეკრულებით სანოტარო რეგისტრაციის № 11296374, ნოტარიუსი ირმა შავაძე და 2011 წლის 14 თებერვლის № 509024-პ იპოთეკის ხელშეკრულებით სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №110129217, ნოტარიუსი პაპუნა შენგელაია, მაგრამ არაუმეტეს 14 427 000 აშშ დოლარის;“**

# ჩვენთან „დაუპურებელი“ სამართალი ნისლიან ალბიონზე „დანაყრდა!“

ადამიანურ ენაზე ეს ნიშნავს, რომ ბუნებაში არარსებული ვალის გამო, შპს „აგრიკომმა“ „ფოთის წისქვილქარხანას“ (ვანო ჩხარტიშვილს), რომელიც არასოდეს ყოფილა ვანო ჩხარტიშვილის საკუთრება, უნდა გადასცეს — 14, 427 მილიონი აშშ დოლარად იპოთეკით დატვირთული ქონება. მოსამართლის ლოგიკით, ვანო, თურმე, კოლოსალურ მოგებას მიიღებდა. ვალები რომ არ ჰქონოდა, ფოთის წისქვილქარხანა ბანკში იპოთეკით რომ არ დაეტვირთა, ქარხანა ბანკს აუქციონზე რომ არ გაეყიდა და მის აღორძინებაში ვანოს 17,5 მილიონი დოლარის ინვესტიციები რომ ჩაედო.

**ერთი სიტყვით, მოსამართლე სულაკაძემ პირნათლად შეასრულა დავალება და „აგრიკომის“ მრავალი წლის წვითა და დაგვით შექმნილი ქონება ბატონ ვანო ჩხარტიშვილს აჩუქა!**

ძალიან საგულისხმო და დამაფიქრებელია ერთი უცნაური ფაქტი — „აგრიკომთან“ ერთად ჩხარტიშვილის სარჩელის მთავარი მოპასუხე გახლდათ სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკი“. სადავოდ გამხდარი ქონება თავის დროზე „აგრიკომმა“ შეიძინა უშუალოდ მისგან და არა აუქციონზე. **აქედან გამომდინარე, ჩხარტიშვილს, საერთოდ, პრეტენზიები შეიძლებოდა გასჩენოდა სწორედ ბანკის და არა ბანკისგან უნაკლო ნივთის შემძენი შპს „აგრიკომის“ მიმართ.**

ვერ გეტყვით, რა არგუმენტები ჰქონდა მოსამართლე სულაკაძეს (როგორც ყველა ადრინდელ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილი არ ახლავს), მაგრამ მის ბოლო გადაწყვეტილებაში ბანკი, საერთოდ, ნახსენებიც არ არის(?!). მიჭირს დავიჯერო, რომ მას ბანკი შეებრალა, მის ავტორიტეტს გაუფრთხილდა ან რაიმე სხვა ჰუმანური მოსაზრებით იხელმძღვანელა. ვითომ, ძლევამოსილი მოწინააღმდეგისა შეეშინდა და შედარებით დაბალ ღობეზე გადახტომა ამჯობინა? შეიძლება, ისიც ვიფიქროთ, რომ, უკაცრავად პასუხია და, **ამ მოკაშკაშედ ბრიყვული გადაწყვეტილებით მოსამართლე სულაკაძემ პირადად ვანო ჩხარტიშვილისთვის თვალის ახვევა სცადა?** თან, მომავალში ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად საქმე გაუიოლა ზემდგომ სასამართლო ინსტანციებს.

ამას ისიც მაფიქრებინებს, რომ **სულაკაძის სასამართლოს სხდომა სულ ორ, ორად ორ წუთს გაგრძელდა — „სხდომა დაიწყო 09:31სთ. დამთავრდა 09:33 სთ.“** — ასეა აღნიშნული ოქმში.

სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას ჩხარტიშვილის ინტერესების დამცველი მამუკა ღვინიაშვილი, თვითონ ბატონი მოსამართლე სულაკაძე ხშირად და დაუფარავი სიამაყით ახსენებდნენ ლონდონის სამეფო სასამართლოს, რომელიც განიხილავდა ქონებრივ დავას განსვენებული ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და პატარკაციშვილის ყოფილ ბიზნეს-პარტნიორ ვანო ჩხარტიშვილს შორის — **აი, ნახავთ, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს ავტორიტეტული ლონდონური სასამართლოო!**

ლონდონის სამეფო სასამართლოს მოსამართლემ, მისმა ღირსებამ ბატონმა პიტერ სმიტმა 18 დეკემბერს

**სამეფო სასამართლო ქართული მართლმსაჯულების გადასარჩენად**



**ლონდონში თვალახელილი ქართული მართლმსაჯულება**

გადაწყვეტილება მართლაც გამოიტანა (საქმის №EC2013000296). მან დაადასტურა ფაქტი, რომ წლეულს მაისის თვეში ვანო ჩხარტიშვილი ოთხი დღის განმავლობაში უპასუხებდა ლონდონური სასამართლოს კითხვებს. ისიც სრული ჭეშმარიტებაა, რომ ბატონი პიტერ სმიტის პროფესიონალიზმი, მიუკერძოებლობა, გონებამახვილობა, გულმოდგინება და პატიოსნება მაგალითად გამოადგება ქართულ სასამართლოს. მის გადაწყვეტილებაში დაწვრილებითაა გაანალიზებული ყველა დოკუმენტი, ყველა შესაძლო ვერსია, ყველა მოწმის ყველა ჩვენება და დასკვნა მხოლოდ ამის შემდეგ არის გაკეთებული.

გადაწყვეტილება საკმაოდ ვრცელია და, სამწუხაროდ, მისი აქ მთლიანად მოყვანა, ან თუნდაც ჩვენთვის საინტერესო ყველა დეტალის ციტირება, უბრალოდ, შეუძლებელია. სამაგალითოდ ბატონი მოსამართლის რამდენიმე ძალიან მოკლე დასკვნას თუ შემოგთავაზებთ:

**„ვანო (შემოკლებით ასე მოიხსენიებს მოსამართლე ბატონ ივანე ჩხარტიშვილს, თ. ქ.) ამტკიცებს, რომ კომპანიების სასარჩელო მოთხოვნები, თუნდაც დასაბუთებული იყოს, ისინი ქართული სამართლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო, მაინც არ არის ძალმოსილი...“**

**„არ არსებობს რაიმე შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც გაამაგრებდა ვანოს პოზიციას...“**

**„მოსარჩელეთა მხრიდან დაიკითხა ოთხი მოწმე. ესენი არიან ქალბატონი გუდავაძე, ბატონი, რუხაძე, ბატონი კვანტალიანი და ქალბატონი პატარკაციშვილი... სულაც არ უნდა იყოს საკვირველი, რომ ქალბატონ გუდავაძეს ვანოზე შეექმნა წარმოდგენა, როგორც მისი განსვენებული მეუღლის მემკვიდრეობაზე ერთ-ერთი მონადირისა...“**

**„ქალბატონი გუდავაძის ჩვენებების საწინააღმდეგოდ (ვანოს მხრიდან) რაიმე სერიოზული არგუმენტები მოშველიებული არ ყოფილა. აზრთა სხვაობა წარმოიშვა მხოლოდ ვანოსა და ქალბატონ გუდავაძის შეხვედრის თარიღთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, რომ 2008 წლის პირველ ნახევარში, ბადრის გარდაცვალებისთანავე, ვანო (გუდავაძესთან) შეხვედრისას არ წამოჭრიდა საკითხს კომპანიების საკუთრებაზე მისი უფლებების შესახებ.“**

**„ვანოს ჩვენებებიდან დავასკვენი, რომ იგი არასოდეს ყოფილა კომპანია „ბლიუ ტროპიკის“ მესაკუთრე. შეთანხმება იყო ისეთი, როგორადაც იგი წარმოადგინეს მოსარჩელეებმა: მესაკუთრე იყო ბადრი. მან ვანოს კომპანიის მართვის უფლება მიანიჭა და ამისთვის სარგოდ კომპანიის მოგების 50 პროცენტი დაუნიშნა. ასეთი მიდგომა სავსებით ლოგიკურია, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება (ფოთის) წისქვილქარხანას, სადაც ვანოს ფული არ ჩაუდია და, ამის მიუხედავად, ამტკიცებს, რომ მისი საკუთრებაა. მიმაჩნია, რომ ვანოს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არის ცრუ და მათ ვერ გავითვალისწინებ...“**

**„ზეპირ ჩვენებებში ვანო თავიდან აცხადებდა, რომ პასუხისმგებელი იყო ქართულ ბანკში აღებულ კრედიტებზე... თავისი არგუმენტაციის გასაუმჯობესებლად, ზეპირი ჩვენებების მიმდინარეობისას დაიწყო მტკიცება, რომ პასუხისმგებლობა აიღო მსხვილ ვალებზე უცნობი კრედიტორების წინაშე... მის ამ ჩვენებებს ვერ გავიზიარებ. ჩემი აზრით, მან ყველაფერი ეს გამოიგონა იმის დასამტკიცებლად, თითქოს საკუთარ თავზე აიღო ვალდებულებები და ამის გამო შეცვალა ხელშეკრულება... ფოთის წისქვილქარხნის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მისი ჩვენებები მიმაჩნია სიცრუედ...“**

**„დარწმუნებული ვარ, ვანომ უკანონოდ მიითვისა ხსენებული აქტივები... ვანომ იცოდა, რომ აქტივები ეკუთვნოდა ბადრის... გამოვრიცხავ, რომ ვანოს თავი მართლაც მიაჩნდა ხსენებული აქტივების მფლობელად...“**

**„მივედი დასკვნამდე, რომ მოსარჩელეებმა დაასაბუთეს თავისი სასარჩელო მოთხოვნები და დაამტკიცეს, რომ ვანომ უკანონოდ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის დარღვევით) მიითვისა სხვისი აქტივები... მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა 992-ე მუხლის დარღვევით გამოწვეული ზარალის გამო. ვანოს შესაგებელი სარჩელი არ განიხილება...“**

**ვფიქრობ, ზოგადი შთაბეჭდილების შესაქმნელად მაინც, საკმარისი უნდა იყოს - ქართველი მოსამართლე გიორგი სულაკაძე ბრმად იზიარებს ამ კაცის, ლონდონის სამეფო სასამართლოს აზრით, სხვისი ქონების ნებისმიერი ხერხით ხელში ჩაგდების პათოლოგიური სურვილით შეპყრობილი ვანო ჩხარტიშვილის, უკლებლივ ყველა ბოდვით იდეას.**

**სამწუხაროდ, „ვანოს საქმე“ არ გახლავთ ლოკალური დაპირისპირება ორ მოდავე მხარეს შორის. ეს არის ოცდამეერთე საუკუნის ქართული მართლმსაჯულების, ევროპულ ოჯახთან ინტეგრაციის მსურველი საქართველოს სახელმწიფოს რეალური სახე. იქნებ უპრიანი იყოს გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1952 წლიდან NATO-ს წევრი თურქეთი აგერ 28 წელიწადზე მეტია, ამაოდ ელის ევროკავშირის მოწყალებას. მას პრინციპულად არ უღებენ ამ უპრესტიჟულესი გაერთიანების კარს, რადგან თურმე, „მეგობარ“ თურქეთში არ არის დაცული ადამიანის უფლებები, თურქული მართლმსაჯულება ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამით იმის თქმა მინდა, რომ სულაკაძის სასამართლოს, შესაბამისად, დღევანდელი ქართული მართლმსაჯულების ქმედებები მიმართულია საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ.**

სწორედ ეს გახლავთ ტრაგედია, თორემ მოსამართლე სულაკაძის აშკარად თეთრი ძაფით ნაკერ გადაწყვეტილებებს სააპელაციო სასამართლო უთუოდ გააუქმებს.

არ არის გამორიცხული, რომ ქართული მართლმსაჯულება ბოლოს და ბოლოს, ბატონი ვანო ჩხარტიშვილის ქონების წარმომავლობითაც დაინტერესდეს, როგორც ამას, სხვათა შორის, ლონდონის სამეფო სასამართლო მოგვიწოდებს.



**იმედია, ამ წერილს წაიკითხავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო გვენეტაძე, ვინც შესანიშნავად იცის უსამართლობის ფასი. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე მას, წესით, ჩემს ობიექტურობასა და მართლმსაჯულებისადმი გულწრფელ პატივისცემაშიც ეჭვი არ უნდა შეეპაროს.**

**თეიმურაზ ქორიძე.**

**პრობლემა**

## საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტი სურსათის უკმარისობას განიცდის

**საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „OXFAM-ის“ ინფორმაციით, საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტი სურსათის უკმარისობას განიცდის, — განუცხადეს ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემა „ბიზნესკონტაქტს“ ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობაში.**

**„უახლესი კვლევებით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 70 პროცენტი სურსათის უკმარისობას განიცდის და შიშობს, რომ მომავალში ეს მდგომარეობა შეიძლება კიდევ გაუარესდეს. ვითარებას ის ამძიმებს, რომ საქართველოს მოსახლეობა შემოსავლის საშუალოდ 50 პროცენტს სურსათზე ხარჯავს. მცირე შემოსავლის გამო კი მოქალაქეთა დიდი ნაწილისათვის ადგილობრივი, მრავალფეროვანი და საღი პროდუქტი ხელმისაწვდომი არ არის. შედეგად, ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მის მცირეშემოსავლიან ფენებში, ბავშვებში ზრდის შეფერხება, იოდისა და რკინის დეფიციტი შეინიშნება. არასრულფასოვანი კვება აფერხებს ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას, ამცირებს მის შრომისუნარიანობას, რასაც უარყოფითი სოციალური და ეკონომიკური შედეგები მოჰყვება“, — აცხადებს „ოქსფამის“ სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის ოფიცერი ნინო ედილაშვილი.**

**მისი მოსაზრებით, ვითარების გამოსასწორებლად სურსათის წარმოება უნდა გაიზარდოს. ამისათვის კი მცირე მეურნეებზე მორგებული საინვესტიციო სქემების შემუშავება და წარმოებული სურსათისათვის ადგილობრივი გასაღების ბაზრის მოძიებაა საჭირო.**

**მედიანიუსი**

# ერმა თავი უნდა გადაირჩინოს!

## საქართველოს მოსახლეობის გასაგონად!

(პირველი გვერდიდან) **— „გაეროს მონაცემებით, საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა და თუ პრობლემას დროზე არ ვუშველეთ, თუ თანმიმდევრულ და, ამავე დროს, სასწრაფო ნაბიჯებს არ გადავდგამთ, ეჭვქვეშ დადგება ქართული სახელმწიფოს ფიზიკური გადარჩენა. ამ პრობლემის გადაწყვეტა მთლიანად ჩვენს საზოგადოებასა და სახელმწიფოზეა დამოკიდებული... თუმცა, პრობლემა იმდენად დიდია, რომ ჩვენი საზოგადოების ღრმად გააზრებული და აქტიური მხარდაჭერის გარეშე, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთობლივი, დიდი ძალისხმევის გარეშე, ვერ გავუმკლავდებით“,** — სამართლიანად წუხს ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს ექსპრემიერ-მინისტრი.

ზემოთ მოყვანილ შინაარსიან მოსაზრებებს სამტრედიელი რკინიგზელები, რა თქმა უნდა, ვიზიარებთ. რკინიგზა კი, როგორც მოგეხსენებათ, ლიანდაგით იწყება და ჩვენც ასე დავიწყოთ: ,,საქართველოს რკინიგზის“ დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს უფროსი ლევან ლომაძე; სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს უფროსი ლაშა შენგელია, სამტრედიის სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სამმართველოს უფროსი ბათლომე თავაძე, სტს სამტრედიის კვანძის უფროსი თამაზ ნინუა, „საქართველოს რკინიგზის“ ელექტრო სამონტაჟო სამმართველოს უფროსი მერაბ სტურუა, „საქართველოს რკინიგზის“ დასავლეთის ელექტრო მომარაგების სამმართველოს უფროსი ზურაბ გოგოხია, „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური ინსპექციის დასავლეთ რეგიონის მოძრაობის უსაფრთხოების ინსპექციის უფროსი რობერტ ამაღლობელი, დასავლეთ რეგიონის საგანგებო სიტუაციათა ცენტრის უფროსი ვალერი გრიგოლავა, „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის სატვირთო გადაზიდვების სადგურ სამტრედიის უფროსი გენადი ნიკოლეიშვილი და, რა თქმა უნდა, მათთან ერთად ყველა სამტრედიელი ვფიქრობთ, რომ აწ უკვე მყარად ძალაში შესული XXI საუკუნეში და მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟზე, ჩვენს ერს და ქვეყანას სულმნათი, გენიოსი ვაჟა-ფშაველას ორივე სურვილის (განათლება-გამრავლება) შერწყმა-აღსრულება და საქართველოს ექსპრემიერ-მინისტრის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მყარ ლოგიკურ ფორმულირებად



ჩამოყალიბებული მკაცრი, მაგრამ ობიექტური სინამდვილე და მისი არიდების ან თუ მისგან განკურნების, მზა წამლის რეცეპტის ერთ-ერთი და არც თუ ისე იოლად ხელწამოსაკრავი კომპონენტი, ზემოთ ხსენებული მე-2 წერილის ქვესათაურად გვაქვს გამოტანილი, **„დიდი საქმენი „წვრილი ერის“ თანადგომისა და მონაწილეობის გარეშე სრულყოფილი ვერ იქნების!“ ჰოდა, იმ „წვრილი ერის“ განუყოფელი ერთი ნაწილი სამტრედიელებიც ვართ.**

ასე რომ, ღვთისმშობლის წილხვედრ ამ ჩვენს ქვეყანას ქართველები და აფხაზები ვაძლევთ სახელს და ღმერთმა საქართველოს მტერი და ორგული არ მოასწროს, რომ ჩვენ სამშობლოში უმთავრესი, ანუ ტიტულოვანი ერის უფლება თუ პოზიცია ოდესმე დავთმოთ.

და მაინც, მოწოდებასავით გამოგვდის, შინ და ქვეყნის გარეთ მცხოვრებო ძვირფასო თანამემამულენო! იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტი ქართველი ბავშვი ჟღურტულებდეს მშობლიურ მიწაზე, ამიტომაც უნდა იყოს ის ჩვენი დიდი გაერთიანება თუ ერთხმიანობა ყოველგვარ პარტიულ კუთვნილებაზე მაღლა მდგომი, მამულიშვილური ერთობა, რომლის მასაზრდოებელ და მამოძრავებელ წყაროს უნდა წარმოადგენდეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების იერარქიული კიბის ყველა საფეხურზე მდგომი თუ მყოფი ქართველი — ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთაგან დაწყებული, რიგითი ადამიანით დამთავრებული.

**ერთი სიტყვით, შინ თუ გარეთ მცხოვრებო ერო და ბერო, ვინც კი ვმუშაობთ ამ საშვილიშვილო საქმისთვის, ყველამ გავიღოთ, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით, ჩვენი კუთვნილი ხელფასის 1,0 პროცენტი და ყოველთვიურად, ორგანიზებულად გადავრიცხოთ „საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდში“, რომლის ინციატივებით ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის ყოფილ პრემიერ-მინისტრებს შორის ყველაზე ახალგაზრდა, გულწმინდა და გულქართლი, აწ უკვე უხმაუროდ გადამდგარი პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის კაბინეტმა, საქართველოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, მაგრამ, არც მეტი, არც ნაკლები, კაცობრიობის ხნის ქართველი ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის მთავარი ბრძოლა წინ გველის.**

დარწმუნებული ვართ, ჩვენი დროის უდიდესი ქველმოქმედის და მისაბაძი მამულიშვილის, თბილისის წმინდა სამების გრანდიოზული საკათედრო ტაძრის აღმშენებლის, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ბიძინა ივანიშვილის მიერ დაწყებულ, ქართველი ერისთვის დიდად სასიკეთო საქმეში მაღალი ღმერთი მასაც და მის მხარდამჭერებსაც ხელს მოუმართავს.

ვინც ამ დიდ მამულიშვილურ გამოწვევაში, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით ჩაებმება, ყველას გვარ-სახელი და პროფესია, არ იქნებოდა ზედმეტი, რომ გამოქვეყნდეს (დაფიქსირდეს), როგორც ეს ჩვენი სიამაყის — წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ჟამს იწერებოდა პრესის ფურცლებზე, რამეთუ მომავალმა თაობებმა და ისტორიამ უნდა იცოდნენ, ამ ისტორიული ავბედითობის ჟამს ვინ სად იდგა...

დიახ, ასეა, არაფერს ვამეტებთ. რამეთუ გაეროს მონაცემებით, სულ რაღაც 25 წელიწადში, ანუ ჩვენი ტკბილ-მწარე დამოუკიდებლობის აქამდე გამოვლილი გზის ტოლ მონაკვეთში, ეთნიკური უმცირესობა შეიძლება გავხდეთ საკუთარ ქვეყანაში და, ამიტომ მომაკვდავ ერთა სიისკენ მიგვითითეს!

დაბოლოს, იმას ვიტყვით, რომ მართალზე მართალი იყო კიდევ ერთი ქართველი მწერალი, მართლაცდა უებრო ინტელიგენტი და მამულიშვილი გრიგოლ აბაშიძე, როცა ამბობდა: **„სულ ყველაფერი წყალს წაუღია, თუ საქართველო აღარ იქნება!“**

საინიციატივო ჯგუფის სახელით
**ისიდორე ჯანელიძე,**

2015 წლის დეკემბერი,
ქ. სამტრედია

---

**ექსპერტის აზრით**

# ეკონომიკაში სტაბილიზაცია კი გვაქვს, მაგრამ ისეთივე, როგორიც სასაფლაოზეა



**საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს ეკონომიკაში ძლიერი შოკის მიუხედავად სტაბილიზაციის ნიშნებს ხედავს. თუმცა, ფონდის მისიის მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკა კვლავაც რთული საგარეო ვითარების პირობებში ფუნქციონირებს. ამ თემაზე ექსპერტი დემურ გიორხელიძე გვესაუბრება.**

**— ბატონო დემურ, სავალუტო ფონდის გარდა სტაბილურობის ნიშნებზე რამდენიმე დღის წინათ ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც საუბრობდა. ეს ნიშნავს, რომ დადებითი ტენდენცია რეალურად შეინიშნება, თუ პოლიტიკური განცხადებებია, ანუ პოზიტიური განწყობის შექმნაა საჭირო იმისათვის, რომ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი მოიძებნოს?**

— იმდენად რთული სიტუაციაა და იმდენად მძიმე მდგომარეობაშია ეკონომიკა, რომ მეტ-ნაკლებად სტაბილიზებულია. ამდენად, ახალი ამ შეფასებაში არაფერია. გარე შოკების გავლენა არ მოხსნილა და დადებით მიმართულებას არ უნდა ველოდეთ, პირიქით, გარე დაძაბულობა იზრდება. ამდენად, შიდა პოლიტიკა იქნება განმსაზღვრელი იმისათვის, რომ ეკონომიკა მეტ-ნაკლებად გაძლიერდეს.

არ მჯერა ამ შეფასებებისა, რადგან ისინი, როგორც წესი, პოლიტიკური დატვირთვის მატარებლები არიან. ეკონომიკა კი 25 წელია, წინ არ მიდის და ეს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მონაცემებსაც ეტყობა, რომლის მიხედვითაც მდგომარეობა, ფაქტობრივად, არ გაუმჯობესებულა. ამდენად, მისიების შეფასებები მხოლოდ ილუზორულია, რადგან მთავარი მთავრობის შიდა პოლიტიკაა, რომელიც ძალზე სუსტია.

**— თქვენ ამბობთ, რომ 25 წელია ეკონომიკა, ფაქტობრივად, ერთ მდგომარეობაშია გაყინული, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს შესაბამისი პოტენციალი არა აქვს თუ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ყოველთვის სუბიექტური მიზეზები იყო ხელშემშლელი?**

— უწინარესად, სუბიექტური მიზეზები არსებობს, რადგან როდესაც დამოუკიდებლობის 25 წლისთავზე შენ გაქვს 16 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის ეკონომიკა, გამოდის, რომ ეს უკვე ფინიშია, აქედან კი სტანდარტული მეთოდებით გამოსვლა არ ხდება.

მთავარი პრობლემა, რასაც წლებია, ვუყურებთ, არის დილეტანტიზმი და გაუაზრებელი პოლიტიკა, რომელმაც შედეგი ვერასდროს მოიტანა. ის დადებითი ეპიზოდები, რომელიც მთელ ამ პერიოდში შეინიშნებოდა, უფრო გარემოებებით იყო გამოწვეული, ვიდრე პოლიტიკის გამო.

**— ბოლო წლებში თითქმის ყოველთვის კეთდებოდა პროგნოზები, რომ ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება იყო მოსალოდნელი. თუმცა, დღევანდელი პროგნოზებით სტაბილიზაცია ანონსდება... ეს ცვლის რამეს?**

— ყველაზე სტაბილური სიტუაცია არის სასაფლაოზე, გინდ ქარიშხალმა გადაუაროს, გინდ არა, ყველაფერი შესანიშნავადაა, რადგან გადაივლის და მზე ამოვა, ასეა ქართული ეკონომიკაც, რომელიც მიცვალებულის მდგომარეობაშია და აქ სტაბილიზაციაზე საუბარი უხერხულია. ეს არის უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკა. უბრალოდ, არსებობს ილუზიები, რომელიც ამ მდგომარეობას კვებავს.

**— წინა ხელისუფლების პირობებშიც და ამ ხელისუფლების დროსაც გვაიმედებდნენ, რომ გარე ინვესტიციების ზრდით შესაძლებელი იყო ეკონომიკური წინსვლის მიღწევა. სტატისტიკის მიხედვით წელს გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეს მაჩვენებელი დაახლოებით 30%-ით არის შემცირებული. თქვენი აზრით რა არის მიზეზი, გარდა იმისა, რომ ზოგადად, რეგიონში რთული სიტუაციაა?**

— საქმე ისაა, რომ ქვეყანას თუ საკუთარი რესურსები, ადამიანური, ფინანსური, მატერიალური, მობილიზებული აქვს ეკონომიკის განვითარებაზე, გარე ინვესტიციები ავსებს შიდა ინვესტიციებს. დაახლოებით 4,5-5 მილიარდის ოდენობის პირდაპირი ინვესტიციაა საჭირო იმისათვის, რომ ეკონომიკას დაეტყოს. ის სტატისტიკა, რაც გვაქვს, ანუ დაახლოებით 200 მილიონზეა საუბარი, რომელიც იხარჯება წარმოების შექმნასა და მომსახურებაზე, უმნიშვნელოა და ამიტომ ვერ ახდენს ინვესტიციები გავლენას ეკონომიკაზე.

თუმცა, მთავარი პრობლემა საქართველოს ხელისუფლების პრიმიტიული დამოკიდებულებაა საგარეო ინვესტიციების მიმართ. როდესაც შიდა გარემო არ გივარგა, როდესაც მეწარმე არ არის მობილიზებული, როდესაც შენი რესურსები არ არის მიმართული ეკონომიკის ზრდისკენ, გარე ინვესტიციები ეფექტური ვერ იქნება. ამას მხოლოდ მაშინ აქვს ეფექტი, როდესაც ქვეყნის შიგნით აღმავლობის გზას ადგას ხალხი. გარე ინვესტიციებით ეკონომიკის აღორძინება, როგორც წესი, არ ხდება და არც მომავალში მოხდება.

**— საგადასახადო კანონმდებლობაა დასახვეწი?**

— მთავარია სოციალური ინფრასტრუქტურა, ანუ ინსტიტუციები და ის მენტალობა, რომელიც ხელს არ უწყობს თავისუფალი და კანონიერი მეწარმეობის განვითარებას. ხელისუფლებით დაწყებული, ბიზნესით დამთავრებული, სიმდიდრის გადანაწილებაზეა ორიენტირებული. არ გვაქვს პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სიმდიდრის შექმნას და არა სიმდიდრის გადანაწილებას. რა არის საქართველოში საუკეთესო ბიზნესი? — ცხადია, ხელისუფლებაში ყოფნა. რატომ განაგებს ხელისუფლება მთლიანობაში ეკონომიკას? — იმიტომ, რომ რენტას ანაწილებს — ეს არის მთავარი უბედურება.

**— ეს იყო ძირითადი ბრალდება წინა ხელისუფლების მიმართ, თუმცა, დღევანდელი ხელისუფლების მიმართ ასეთი ბრალდებები შედარებით ნაკლები სიმწვავით ისმის...**

— მე მოგახსენებთ არა რომელიმე კონკრეტულ ხელისუფლებაზე, არამედ იმაზე, თუ რა ხდება მთელი 25 წელია — ვსაუბრობ იმ მენტალობასა და ინფრასტრუქტურაზე, რომელიც ქვეყანაში ჩამოყალიბდა.

**— რაც შეეხება რეგიონში დაძაბულ სიტუაციას, არსებობს თუ არა შესაძლებლობა, გარე შოკები მეტ-ნაკლებად განეიტრალდეს?**

— გარე შოკების გამკლავება შესაძლებელი იქნება, თუ აქტიურ საშინაო პოლიტიკას გავატარებთ. ცხადია, ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შორის დაძაბულობა ჩვენი ეკონომიკისათვის მომგებიანი არა, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ჩვენ თვითონ არ ვართ მობილიზებული — ტოტალური უმუშევრობაა, მეწარმეობა სერიოზულ ბიუროკრატიას აწყდება, ფინანსური რესურსები მიუწვდომელია, მახინჯი საბანკო სისტემაა და ა.შ.

**— ანუ, რა შემთხვევაში შეიძლება გვქონდეს დადებითი ტენდენციის იმედი?**

— დადებითი ტენდენცია შეიძლება იყოს მხოლოდ მიზანმიმართული, სწორი პოლიტიკის ფარგლებში. თავისთავად არაფერი არ კეთდება.

**— თუმცა, ამ ხელისუფლებას უამრავი პროგრამა ჰქონდა და დღესაც ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, რომელთაც, წესით, უნდა შეეცვალონ ეკონომიკური ფონი. თვლით, რომ არასწორად დაიგეგმა თუ უბრალოდ, არასაკმარისი აღმოჩნდა?**

— ეს არის კონკრეტული ღონისძიებები და არა სისტემურად გათვლილი პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მოდერნიზაციას მოახდენს. ცალკეული, ეპიზოდური, თუნდაც დადებითი გადაწყვეტილებები ვერ ცვლის სიტუაციას. ან კომპლექსურად უნდა გაიაზრო, რა ტრაექტორიით შეიძლება მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანა, ან მიმართავ პროპაგანდას და შედეგი არ გაქვს.

საშინაო პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული სწრაფ ეკონომიკურ ზრდაზე, დასაქმებაზე, ქვეყნის მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსის გამოყენებაზე — კანონის ფარგლებში და არა ნეპოტიზმის და პარტიული ერთგულების ნიშნით.

**მარიამ თოდაძე**

# „გაბუტული ბიუროკრატია“ სერიოზულ პრობლემას უქმნის ქვეყანას



## ნომრის სტუმარია ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე

**— ბატონო ვახტანგ, პრემიერმა ღარიბაშვილმა ორიოდე დღის წინათ შეაფასა მთავრობის სამწლიანი მუშაობა. თქვენ რას გამოჰყოფდით წარმატების კომპონენტებიდან?**

— გასული სამი წელიწადის მთლიანობაში ასე მოკლედ შეფასება გამიჭირდება... რა თქმა უნდა, ეს იყო მოლოდინებით დახუნძლული წლები, ალბათ, იმიტომაც, რომ დაპირებებიც უხვად გაიცა. ძირითადი მახასიათებელი, ე. წ. „კოზირი“ ამ ხელისუფლებისთვის არის საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ამუშავება და საკმაოდ ეფექტიანადაც. დღემდე არც ერთ ხელისუფლებას არ განუხორციელებია ასეთი მნიშვნელოვანი და მოქალაქეზე ორიენტირებული სოციალური პროგრამა. აღნიშვნის ღირსია C ჰეპატიტის ოლუმინაციის პროგრამა, რომელმაც შვება მისცა ათასობით დაავადებულს. შეიძლებოდა, ხელისუფლებას ეს პროგრამა სხვაგვარადაც გაეკეთებინა, პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო მომგებიანად, მაგრამ მთავრობამ თავიდანვე ორიენტაცია ადამიანთა ჯანმრთელობაზე გააკეთა. ასევე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის დარგის წინ წამოწევა და ამ სექტორში ჩადებული ინვესტიციები. აქაც, არც ერთ ხელისუფლებას კომუნისტებიდან მოყოლებული, ამდენი თანხა არასოდეს ჩაუდვია. სხვა საქმეა, რამდენად ოპტიმალურად და მიზანმიმართულად დაიხარჯა, ეს საკამათოა, თუმცა, მიღწევები იყო. ასეთმა წარმატებებმა აამოძრავა ფერმერი და მიწას დაუბრუნა გლეხი. ეს ორი ძირითადი თემა ხელისუფლებამ კარგად განახორციელა. ამ ყველაფერთან ერთად მნიშვნელოვანია ის, რაც მოხდა ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავების კუთხით, ხელშეკრულების გაფორმება, ვიზალიბერალიზაციის მიღწევა და ა. შ.

**— და მაინც, რა შეიძლებოდა ხელისუფლებას განეხორციელებინა უფრო ეფექტიანად, რისი შანსი ჰქონდა და ვერ გამოიყენა?**

— ჩემი აზრით, შეიძლებოდა სისტემური რეფორმის გატარება, რაც ვერ მოხერხდა. რეფორმები ტარდება, მაგრამ ეს ხდება სისტემის შიგნით, ფრაგმენტულად, და არა ყველა სახელისუფლებო შტოში.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ჩამოვყალიბდით, როგორი სახელმწიფო გვინდა, როგორ უნდა შევქმნათ დემოკრატიული ინსტიტუტები. სხვა ხელისუფლება რომ მოვიდეს, არ ვიცით, ის რა გზით წაიყვანს ქვეყანას. ეს არის უდიდესი პრობლემა, რომელიც ხელისუფლებას იმთავითვე უნდა გადაეჭრა. სისტემამ უნდა უზრუნველყოს ყველა ის ჰუმანური ღირებულებები, რისკენაც ჩვენ მივისწრაფვით.

ვერა და ვერ მოწესრიგდა ყბადაღებული პრემიებისა და დანამატების თემა. მე, რა თქმა უნდა, მომხრე ვარ, საჯარო პირები და მაღალჩინოსნები იღებდნენ ღირსეულ გასამრჯელოს, ანაზღაურება იყოს მაღალი, მაგრამ „მაღალი“ არის ფარდობითი ცნება, ის შესაბამისი უნდა იყოს იმ სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისა, რაც ქვეყანაშია. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ჩვენ გვჭირდება გამოცდილი კადრები, ვერ გეტყვით, რომ საკადრო პოლიტიკა ძალიან მაღალ დონეზე იყოს. უნდა ჩამოყალიბდეს ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც გუნდურად იმოქმედებს. დღეს ამ კუთხით „აჭრილი“ სიტუაცია გვაქვს, როცა ნაციონალური მოძრაობის კადრები დარჩნენ ადგილებზე და შეიძლება ითქვას, საბოტაჟს აწყობენ. ბევრი გაკეთებული და ვერწარმოჩენილი საქმე შეიძლება ამასაც დაბრალდეს. დაპირისპირებაა ბიუროკრატიაში. რაღაც უცნაური ურთიერთობა ჩამოყალიბდა — „გაბუტული ბიუროკრატია“, რომელიც სერიოზულ პრობლემას უქმნის წარმატების მიღწევას და სახელმწიფოებრიობასაც .

**— საგარეო მიმართულებაზე გავამახვილოთ ყურადღება. მაგალითად, რუსეთთან სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე, რომელმაც ბევრი ეჭვი წარმოშვა ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის მიღწევის ფონზე.**

— ახალმა ხელისუფლებამ შეცვალა რუსეთთან რიტორიკა, რაც თავისთავად ძალიან კარგია. აგრესიული რიტორიკა შეიცვალა, თუმცა, სხვა მხრივ რაიმე წარმატების მიღწევა ვერ შეძლო. თავისთავად, მისასალმებელია აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატი, რომელმაც დაპირისპირებულობიდან დიალოგის რეჟიმში გადაიყვანა საუბარი. ამ ლაპარაკის შედეგია სწორედ ეკონომიკურ ბლოკში მიღწეული შეთანხმებები, ვიზების გამარტივება...

**— სოციოლოგიურ გამოკითხვებს თუ ვენდობით, ჩანს, რომ მოსახლეობაში რუსეთის მიმართ დამოკიდებულება დადებითისკენ იცვლება. ეს რითია განპირობებული და ხომ არ შეუქმნის საფრთხეს ქვეყნის დასავლურ ორიენტაციას?**

— მე მაინც მგონია, რომ ამაში საკრიტიკო არაფერია. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ორიენტაცია ყოფით დონეზე არის გადაწყვეტილი — მას სურს დასავლეთთან ინტეგრაცია. 2008 წლის ომის დროს პირველი, რაც გაჩნდა მოსახლეობაში, იყო შიში — რუსები მოვლენ და გადაგვივლიანო. ეს სინდრომი დღემდე მოქმედებს. შეიძლება, აქედან გამომდინარე ფიქრობენ ადამიანები პრაგმატულად და ემხრობიან რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას. ნატოც იმისთვის გვჭირდება, რომ დაუცველობის განცდა გვაქვს. ჩვენ აქ ნატოს ჯარები კი არ გვჭირდება და ეს კი არ გვახარებს, არამედ სიმშვიდისა და სტაბილურობის შენარჩუნება გვინდა, რომელსაც ნატო გვპირდება.

**— ბატონო ვახტანგ, რა პროგნოზებს გააკეთებთ მომავალი წლისთვის, რა ელოდება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას, მითუმეტეს, რომ 2016 საპარლამენტო არჩევნების წელია?**

— ვისურვებ, რომ მომავალი წელი გაცილებით უკეთესი იყოს თითოეული მოქალაქისთვის და წინსვლა იგრძნოს... თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ საკმაოდ რთული წელიწადი იქნება. 2016 წლის არჩევნები შეიძლება საეტაპოც კი აღმოჩნდეს ჩვენი უახლესი ისტორიის მანძილზე. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორ ჩატარდება არჩევნები: გაყალბების, ტრაგედიების და ზედმეტი დაძაბულობის გარეშე, თუ პირიქით.

**— რას ფიქრობთ საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს გადაწყვეტილი, ვინ მოსწონს, ან ვის დაუჭერს მხარს მომავალ არჩევნებზე. თუ ენ-დი-აის დავუჯერებთ, ეს მასა საკმაოდ დიდია, გამოკითხულთა 60 პროცენტი...**

— მოდი ასე ვთქვათ, ზოგადად პოლიტიკური პარტიების რეიტინგებს არ ვუყურებ, ვის ემატება, ვის აკლდება პროცენტები. რიცხვებს დავანებოთ თავი და შევხედოთ განწყობას. 60 პროცენტი ჩემთვის დამაჯერებელი ციფრია, ვინაიდან, რეალობა მართლაც ასეთია. ამ 60 პროცენტიდან უნდა გამოვყოთ, ვინ არის აგრესიულად განწყობილი „ქართული ოცნების“ მიმართ და რამდენს უბრალოდ არ მოსწონს. აგრესიული ნაწილი ოპოზიციაზე გადანაწილდება, ხოლო დიდი ნაწილი დარჩება ნეიტრალური, რომელიც შეიძლება, არჩევნებზე საერთოდ არ წავიდეს. 2016 წლის სპეციფიკურობა ესეც იქნება — ამომრჩევლის მიყვანა საარჩევნო ყუთთან. ჩემი აზრით, ნაწილი ისევ „ქართული ოცნებისკენ“ შებრუნდება. არის გულგატეხილობა, არის იმედგაცრუებაც, ეს დომინირებს, მაგრამ არა აგრესიულობა.

მოკლედ, ეკონომიკური გარღვევები არ გვექნება და არც მშვიდ წელიწადს არ ველოდები, რადგან სწორედ საზოგადოების იმ ინერტული ნაწილის მეშინია, რომელსაც ჯერ არაფერი არა აქვს გადაწყვეტილი...

**— დაბოლოს, ბატონო ვახტანგ, მაშინ, როდესაც ქვეყანაში ამდენი პრობლემაა დაგროვილი და ეს პრობლემები საკმაოზე მეტად თვალსაჩინოა, როგორ ფიქრობთ, პრემიერ-მინისტრის გადადგომა შეცვლის სიტუაციას?**

— ძალიან ძნელია ახლა ამაზე ლაპარაკი, რადგან უნდა ვიცოდეთ, ვინ იქნება მისი შემცვლელი და რა მიზნით მოვა ახალი გუნდი ხელისუფლებაში. ჯერჯერობით იმისი თქმა, რომ ღარიბაშვილის წასვლით რაღაც შეიცვლება, საკმაოდ რთულია.

არ მგონია, რადიკალური ცვლილებები მოხდეს, რადგან ამას არა მხოლოდ პრემიერის წასვლა, არამედ კიდევ ბევრი ფაქტორი და გადაწყვეტილება სჭირდება — თუ მართლაც გვინდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი შეიცვალოს ქვეყანაში.

აუცილებელია უფრო ღრმა ანალიზი შექმნილი სიტუაციისა, ამავე დროს, სხვა კუთხით მოვლენების შესწავლა, ასევე, კონცეპტუალური პროგრამების შემუშავება და ინიციატივების მთელი კომპლექტი, რომ რეალურად რაღაც შედეგი დადო.

ესაუბრა
**თეა მოსია**

## საქართველოს საგარეო ვაჭრობა

# კვლავაც მეტი შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს

**სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ წინასწარი დეტალური მონაცემები გამოაქვეყნა, რომელიც 2015 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდს მოიცავს და ექსპორტ-იმპორტის ძირითადი ტენდენციების შეფასების შესაძლებლობას იძლევა. სტატისტიკა ადასტურებს ექსპორტის მუდმივ კლებას, კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 8 მილიარდ 892 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14 პროცენტით ნაკლებია. აქედან, 23 პროცენტითაა შემცირებული ქვეყნიდან ექსპორტის მოცულობა და 2 მილიარდ 19 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო 11-პროცენტიანი კლებაა წინა წლის ანალოგიური პერიოდის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით იმპორტში,რომელიც 6 მილიარდ 873 მლნ. აშშ დოლარია.**

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის იანვარ-ნოემბერშიც შენარჩუნებულია ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობის ზრდის ტენდენცია და საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 2 მილიარდ 792 მლნ. აშშ დოლარს აღწევს, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 3 პროცენტით აღემატება. აქედან, ექსპორტი 6 პროცენტით მეტია, ხოლო იმპორტის მაჩვენებელი — 2 პროცენტით მეტი.

შესაბამისად, აზრი, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება იმპორტის ზრდას მეტად წაახალისებდა, ვიდრე ექსპორტისას, არ გამართლდა. ზრდა ექსპორტის მიმართულებით მეტია, თუმცა ევროკავშირის ქვეყნების წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში, ჯამში, 31 პროცენტს შეადგენს, მათ შორის, ექსპორტში — 30 პროცენტს და იმპორტში — 32 პროცენტს.

რაც შეეხება დსთ-ს ქვეყნებს, მათთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2015 წლის იანვარ-ნოემბერში 2 მილიარდ 509 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც, გასული წლის იანვარ-ნოემბერთან შედარებით, 22 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 764 მლნ. აშშ დოლარია (44 პროცენტით ნაკლები), იმპორტი კი 1 მილიარდ 746 მლნ. აშშ დოლარი (7 პროცენტით ნაკლები). საქართველოს საგარეო



სავაჭრო ბრუნვაში კი მათი წილი 28 პროცენტით განისაზღვრა, მათ შორის, ექსპორტში — 38, იმპორტში კი — 25 პროცენტი.

შესაბამისად, ექსპორტის ზოგადი მაჩვენებლის შემცირების ფონზე, მნიშვნელოვანია, რომ უფრო სტაბილური ევროპის ბაზრის წილი საქართველოს ექსპორტში თანდათან უახლოვდება დსთ-ს ქვეყნების წილს.

ამასთან, საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის პოზიციას ისევ თურქეთი იკავებს (1 მილიარდ 380 მლნ. აშშ დოლარი), შემდეგ მოდის აზერბაიჯანი (725 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (675 მლნ. აშშ დოლარი). აღსანიშნავია, რომ 2015 წლის იანვარ-ნოემბერში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილი საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 64 პროცენტია.

ამ ეტაპზე პრაქტიკულად თითქმის უცვლელია იმპორტ-ექსპორტის სასაქონლო ჯგუფები, რაც ნიშნავს, რომ თვისებრივი ცვლილება საგარეო ვაჭრობაში ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ მომხდარა.

ამ მონაცემების გაანალიზება და მათგან სწორი დასკვნების გამოტანა ძალიან მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ექსპორტს, ზოგადად, კლების ტენდენცია ახასიათებს, რაც ქვეყნის საკმაოდ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე მეტყველებს.

**ნინო ევგენიძე**

## თანამშრომლობა



# აპოსტილის კონვენცია ძალაში შევიდა

**აპოსტილის კონვენცია საბერძნეთსა და საქართველოს შორის ძალაში შევიდა. ბერძნული მხარის გადაწყვეტილება ქართული დოკუმენტების ლეგალიზაციის რამდენიმესაფეხურიან პროცედურას ამარტივებს. ლეგალიზაციისთვის საჭირო ყველა საფეხური აპოსტილით დამოწმების ერთადერთი მოქმედებით ჩანაცვლდება. დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებისათვის საკმარისი იქნება მხოლოდ ერთი ინსტანციის გავლა. საბერძნეთში ლეგალური სტატუსის არმქონე საქართველოს მოქალაქეებს შეეძლებათ საქართველოს შესაბამისი უწყებების მიერ გაცემული და აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტების წარდგენა საბერძნეთის ოფიციალურ უწყებებში. საბერძნეთსა და საქართველოს შორის აპოსტილის კონვენციის ძალაში შესვლა 2007 წლის შემდეგ ქ. ათენში საქართველოს საელჩოს პრიორიტეტულ და გადაუჭრელ საკითხთა სიაში იყო.**

ჯი-ეიჩ-ენი




## პაატა ბურჭულაძე:

# ძალიან ჩამოვრჩით დროებას, ასე გაგრძელება არ შეიძლება!

**დიახ, ასე გაგრძელება არ შეიძლებაო! — თქვა პაატა ბურჭულაძემ და... თითქოს სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი, რადგან „საქართველოს განვითარების ფონდის“ პრეზენტაციაზე, მსოფლიო ბანის მიერ წარმოთქმულ ამ სიტყვებში, სასოწარკვეთაზე მეტი ემოცია გამოიხატა. ფონდში ყველაფერი აპოლიტიკურია, თუმცა, პოლიტიკა ამ აპოლიტიკურობაში სწორედ რომ წითელი ზბთაა, რადგან ყოველ სიტყვას, ქმედებას, ენთუზიაზმს პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს. თუნდაც, ასე გაგრძელება არ შეიძლება! — ეს ხომ პირდაპირი და შეუფარავი პოლიტიკაა.**

„საქართველოს განვითარების ფონდი“ არ არის პარტია, ამიტომ ნებისმიერი მოქალაქისთვის მისი კარი ღიაა, მიუხედავად პოლიტიკური, სამსახურებრივი, მსოფლმხედველობრივი თუ სარწმუნოებრივი ერთგულებისა. **„ჩვენ არ ვქმნით პოლიტიკურ გაერთიანებას. უნდა დასრულდეს ქვეყანაში „ჩემიანებად“ და „სხვისიანებად“ დაყოფა. ფონდი შეიქმნა ყველასთვის, ვისაც სურს საქართველოს განვითარება“,** — აღნიშნა პაატა ბურჭულაძემ „რედისონში“ გამართულ პრეზენტაციაზე. მან გადადო ყველა გასტროლი, ტურნე, ჩამოშორდა ფონდ „იავნანას“ (თუმცა, გამგეობის წევრად რჩება), მთლიანად საბჭოს გადააბარა ფონდ „ივერიისას“ თანხების განკარგვა, რომელიც მახათას მთაზე მიმდინარე ტაძრის მშენებლობას უწევს ორგანიზებას... მოკლედ, პაატა ბურჭულაძე მხოლოდ და მხოლოდ ფონდისთვის არსებობს, მთელი არსებით გადაერთო ამ საქმიანობაში, რადგან... მიზეზთა ჩამონათვალი ძალიან ბევრია. **„25 წელიწადი ვიცხოვრეთ დამოუკიდებლობაში. ნუთუ მეოთხედი საუკუნე საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ ქვეყანა წელში გამართულიყო? ჩვენ ძალიან ჩამოვრჩით დროებას, არადა, გვეუბნებიან, ყველაფერი კარგად არისო. სტატისტიკის გათვლებით, თურმე 72 ლარი საკმარისი ყოფილა ერთი ადამიანის ყოველთვიური ხარჯების გასაწევად. 45-ლარიან დახმარებას იღებენ ლტოლვილები, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს... 2015 წელს ეკონომიკური ზრდა 2 პროცენტი გვაქვს. გვიფიქრია, სად მიგვიყვანს ასეთი ზრდა 15 წლის შემდეგ? ასეთი ტემპით ევროპის ყველაზე ღარიბ ქვეყანასაც კი ვერ მივუახლოვდებით“,** — აღნიშნა პაატა ბურჭულაძემ და ოფიციალური სიტყვის წარმოთქმისას როგორც გითხარით, მისი ხმის ტემბრი, უფრო მეტ წყენას გამოხატავდა, ვიდრე ემოციას.

არც ერთი კეთილი სიტყვა ხელისუფლების მისამართით ამ დღეს არ თქმულა. **ნეპოტიზმის, უპასუხისმგებლობის, უმოქმედობის და შიშის ეპოქა,** — ასე დაახასიათა ქვეყნის მდგომარეობა მსოფლიო ბანმა.

### „საქართველოს განვითარების ფონდის“ კარი ღიაა

ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა **ვანო მაჭავარიანმა** სტრატეგიასა და მიზნებზე საუბრისას აღნიშნა, რომ **„ეს არის ახალი, თანამედროვე ტიპის ორგანიზაცია, რომლის მიზანია ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური დაპირისპირების და რთული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური და ბიზნეს წრეების, აქტიური მოქალაქეებისა და ახალი თაობის წარმომადგენელთა გაერთიანებას“.** ახალი თაობა, ფონდის მართლაც სერიოზული მუხტია, რადგან საბაზისო მნიშვნელოვანი სფეროების კურირება სწორედ ახალგაზრდებმა ჩაიბარეს. გიორგი რუხაძემ — საერთაშორისო ურთიერთობების ჯგუფი, დავით ჯანდიერმა — სამართლის თემატური მიმდინარეობა, ტატო ჭულუხაძემ — ინოვაციები და ტექნოლოგიების განვითარება, გიორგი პაპავამ და ირაკლი ყიფიანმა — ეკონომიკის მიმართულება (ერთი ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელია, მეორე — ვენეციის, ვერონის და პადუას უნივერსიტეტების სადოქტორო პროგრამების კანდიდატი). გიორგი თაქთაქიშვილი ახალგაზრდული თემების კოორდინატორია. ერთადერთი ქალბატონი გუნდში, ხათუნა ლაგაზიძე — შიდა პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებს უხელმძღვანელებს.

ფონდის წარმომადგენლების მტკიცებით, მოქმედ ხელისუფლებას გარღვევა აქვს თითქმის ყველა მიმართულებით, ოღონდ უარესობისკენ. **გიორგი პაპავას** თქმით, **„დღევანდელი მთავრობა ატარებს სპონტანურ რეფორმებს. ქვეყანას სჭირდება სწრაფი ეკონომიკური ზრდა. ამის საფუძველს იძლევა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, კერძო სექტორის ხელშეწყობა... 8-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში 2025 წლისთვის შეიძლება დავეწიოთ ბულგარეთს, 2030 წლისთვის — თურქეთს. არამიზნობრივი სოციალური პროგრამები, შემცირებული ინვესტიცია, არათანამიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა... დღეს არსებული ეკონომიკური კურსით საქართველო კიდევ დიდხანს დარჩება სიღარიბეში“.**

**უმიზნო, პასიური და არაეფექტიანი საგარეო პოლიტიკა,** — ასე შეაფასა გიორგი რუხაძემ არსებული ვითარება, — **„რატომ ვერ იღებს საქართველო ალიანსის სამოქმედო გეგმას? რა მოხდა ევროკავშირთან ხელშეკრულების შემდეგ? რა არის აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალი? რატომ არის პასიური სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია? თუ რჩება აშშ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად, რატომ მას არ ვთხოვთ ეკონომიკურ კავშირებს, ვიზების გამარტივებას, რატომ ეშინია ხელისუფლებას მოსკოვისა და რატომ იფუჭებს ურთიერთობას უკრაინასთან?“** კიდევ უფრო მრავალფეროვანი იყო რუხაძის კითხვათა ნუსხა, თუმცა, ყველაზე საინტერესო იყო ბოლო პასაჟი, რომელმაც თითქმის გააქარწყლა ეჭვები და ვარაუდები იმის თაობაზე, რომ პაატა ბურჭულაძე რუსეთიდან, პირდაპირ პუტინიდან ფინანსდება.

**„საქართველო რუსეთთან პირდაპირ მარტო კი არ უნდა დარჩეს, არამედ უნდა მოხდეს თანამეგობრობის აქტიური ჩართვა. საქართველოს საგარეო პოლიტიკა არც პროდასავლურია და არც პრორუსული. ხელისუფლება ინერციით მოძრაობს და გაურკვეველია, რა მიზანს ემსახურება“,** — აღნიშნა რუხაძემ.

კიდევ უფრო მკაცრი იყო **ხათუნა ლაგაზიძე,** რომელიც, როგორც ექსპერტი, არც არასდროს გამოირჩეოდა კეთილგანწყობით ხელისუფლების მიმართ: **„საქართველოს განვითარების ფონდი იქმნება იმ ვითარებაში, როცა ვერ ხერხდება ერის კონსოლიდაცია, ეკონომიკური წინსვლა, სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა. ხელისუფლებამ შეწყვიტა დიალოგი ხალხთან და მოსახლეობა გარიყა. ამის კარგი მაგალითია პრემიერ-მინისტრის გადადგომა, რომელმაც არც კი ჩათვალა ღირსად მოსახლეობა, აეხსნა თავისი გადაწყვეტილების რეალური მიზეზები და კიდევ უფრო ღრმა კრიზისში შეიყვანა ქვეყანა. ჩვენ დღეს ვცხოვრობთ „ჰიბრიდულ რეჟიმში“ და სწორედ ეს არის ჩვენი თაობის გამოწვევა“...**

მოკლედ, ფონდის გუნდის პათოსი გასაგებია, მკაცრი, შეუვალი და კრიტიკული. მაგრამ, როგორც კონფერენციაზე გაიჟღერა: **„განვითარების შანსი ჯერ კიდევ არის. ყველაფერი წინა გვაქვს!!!“**

თეა მოსია

## დედამიწის ზურგზე



### ზიმბაბვეში ხელისუფლება რობერტ მუგაბეს ცოლმა აიღო ხელში, ამტკიცებენ ოპოზიციონერები

ზიმბაბვის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მიიჩნევს, რომ 91 წლის რობერტ მუგაბე მუდმივად შორდება საქმეს. მისმა ცოლმა კი ისარგებლა სიტუაციით და ხელისუფლება, ფაქტობრივად, თავის ხელში აიღო. ამავე დროს მთავრობას არა აქვს უნარი, გავლენა მოახდინოს მდგომარეობაზე ქვეყანაში.

### ნორვეგიის ყოფილი პრემიერი ჰერჰარდსენი იყო უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის აგენტი, გამოირკვა მიტროხინის არქივიდან

საბჭოთა სპეციალურ სამსახურებთან თანამშრომლობდნენ არა მხოლოდ მთავრობის მეთაური, არამედ მისი ორი მინისტრიც, აგრეთვე დიპლომატები, გაეროს თანამშრომლები, პოლიტიკოსები, სამხედროები, პოლიციისა და საზოგადო მოღვაწეები. საიდუმლო დოკუმენტებში ხსენებული ზოგიერთი ადამიანი საკმაოდ დიდ ხანს რჩებოდა თავიანთ თანამდებობაზე.

### საუდის არაბეთის სამხრეთში საავადმყოფოს გაუჩნდა ხანძარი: სულ ცოტა 25 კაცი დაიღუპა

კიდევ 107 კაცი დაზარალდა. ცეცხლი გაჩნდა ხუთშაბათს დილით ადრე საავადმყოფოში ჯიზანის ადმინისტრაციულ ოლქში. დაჭრილები და დამწვრები გადაიყვანეს ოლქის სხვა კლინიკებში. ხანძრის მიზეზი დგინდება.

### შეერთებული შტატები ცდილობდა, სირიაში სამხედრო გადატრიალება მოეწყოთ

ამერიკული და არაბული წყაროების მონაცემებით, სირიის რეჟიმის წარმომადგენლებთან კონტაქტის მიზანი იყო ქვეყნის პრეზიდენტის ბაშარ ასადის ხელისუფლებიდან ჩამოშორება. როგორც ერთ-ერთი გაზეთის სტატიაშია აღნიშნული, თავდაპირველად ამერიკის შეერთებული შტატები ეძებდა სუსტ ადგილებს, რომლებიც შეიძლებოდა გამოგეყენებინა, რათა მოგეწყო სამხედრო გადატრიალების პროვოცირება.

### პირველად ორმოცი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები ნავთობის საექსპორტო მიწოდებას უკვე იანვრის დასაწყისში დაიწყებს

ამერიკულმა კომპანიამ Enterprise Producys Partners ტეხასიდან განაცხადა იმის მზადყოფნის შესახებ, რომ შეუძლია 600 ათასი ბარელი ნავთობი ტერმინალებიდან გადატვირთოს იანვრის პირველ კვირას. სათბობი მიეწოდება შვეიცარიას, საიდანაც გადამუშავების შემდეგ გადავა ევროპაში. თუმცა, ექსპერტები ჯერჯერობით ამაში ეკონომიკურ აზრს ვერ ხედავენ.

### ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთს კიდევ 20 სარაკეტო ძრავა რდ-180 შეუკვეთა

ამერიკული კონსორციუმის United Launch Alliance ცნობაში ნათქვამია, რომ მან შეუკვეთა რაკეტმზიდების ძრავების დამატებითი პარტია, რათა განახორციელოს გაშვება კომერციული და სამოქალაქო კლიენტებისათვის, სანამ ამერიკული წარმოების ახალი ძრავები არ იქნება მზად და სერტიფიცირებული.

### „THE TIMES“: მერკელმა დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებს პუტინის შესახებ მონაცემები გადასცა

გამოცემის თანახმად, ანგელა მერკელის და ბრიტანეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელების შეხვედრა გაიმართა პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონის თანდასწრებით მის საქალაქო რეზიდენციაში კანცლერის ლონდონში ვიზიტის დროს ოქტომბერში.



# ღარიბაშვილის ბედს დავით ნარმანიაც გაიზიარებს?



**...„დღემდე თითოეული ჩემი ნაბიჯი გამომდინარეობდა იმ პასუხისმგებლობიდან, რასაც არჩევანი მაკისრებდა, როდესაც ვიღებდი გადაწყვეტილებას, იქნებოდა ეს ოჯახის შექმნის, კარიერის არჩევის თუ პოლიტიკაში წასვლის შესახებ. მაშინ, როდესაც ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით გავერთიანდით ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად, ჩვენი ბრძოლა 2012 წელს ჩვენი ხალხის გამარჯვებით დაგვირგვინდა. მე ნამდვილად მეამაყება, რომ წილად მხვდა პატივი, ამეღო უდიდესი პასუხიმგებლობა ჩვენი ქვეყნისა და ერის წინაშე, ჩვენს გუნდთან გამეგრძელებინა ქვეყნის საკეთილდღეოდ დაწყებული საქმე“,** — გადადგომისას განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის მოვალეობას, პირველი ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი შეასრულებს, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, ოფიციალურად დაიკავებს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს კი, მისი პირველი მოადგილე მიხეილ ჯანელიძე დაიკავებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ცვლილება შეეხება მთავრობის ეკონომიკურ გუნდს. როგორც for.ge-სთვის გახდა ცნობილი, ახალ მინისტრთა კაბინეტში შესაძლოა, ვიხილოთ საქართველოს რკინიგზის დირექტორი მამუკა ბახტაძეც. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ეკონომიკური საბჭოდან მთავრობაში გადაინაცვლებს გიორგი გახარია, რომელიც ეკონომიკის მინისტრს დიმიტრი ქუმსიშვილს ჩაანაცვლებს, თავად ქუმსიშვილი კი ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს შეცვლის.

გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, თანამდებობები დატოვონ: სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში გელა დუმბაძემ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ. გარდა ამისა, როგორც for.ge-ს ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, წინასაარჩევნოდ საკუთარი განცხადების საფუძველზე თანამდებობას დატოვებს თბილისის მერი დავით ნარმანია.

რა გახდა პრემიერის გადადგომის ოფიციალური მიზეზი, უცნობია.

ამბობენ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ სიის პირველი ნომერი იქნება, ის ყოფილ პრემიერთან ერთად აქტიურად ჩაერთვება საარჩევნო პროცესში და ეს გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე მიიღეს, რომელსაც ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა.

ყოფილი პრემიერის ყოფილი მრჩევლისთვის, გია ხუხაშვილისთვის კი ნაკლებად დამაჯერებელია ვერსია, რომ ღარიბაშვილმა თანამდებობა სიის პირველობისთვის დატოვა. ხუხაშვილი ამბობს, რომ ღარიბაშვილი უნდა წასულიყო რბილად და ამიტომაც, სიის პირველობა მისთვის კარგი აეროდრომი იყო სახის შესანარჩუნებლად.

**„ღარიბაშვილის პირველობა ბევრს არაფერს მატებს „ქართულ ოცნებას“ და არასერიოზული იქნება, თუ ვინმე მას განიხილავს, როგორც ორთქლმავალს, რომელიც „ქართულ ოცნებას“ რამეს დამატებითს მისცემს. თუმცა, პირადად მისთვის სახის შესანარჩუნებლად ეს შეიძლება ბევრ რამეს ნიშნავდეს და არა „ქართული ოცნებისთვის“.**

**არ მინდა კატეგორიული ვიყო, მაგრამ ლოგიკურად მიმაჩნია მურუსიძის საკითხი. დიახ, თუ პარასკევს ჩავარდება მურუსიძის კანდიდატურა, მაშინ უკვე შეიძლება, ჩავთვალოთ, რომ გათვალისწინებული იქნა საზოგადოების აზრი, რადგან მურუსიძის წარსული იმდენად მძიმე თემაა ქართული საზოგადოებისთვის, რომ შეიძლება ვთქვათ, ღარიბაშვილი გადაყვა მისი ლობირების საკითხს. თუმცა, დაველოდოთ პარასკევის გადაწყვეტილებას.**

**ასევე არ გამოვრიცხავ, რომ ეს ცვლილება უკავშირდებოდეს პატრიარქის ემოციურ ტალღაზე გამოთქმულ სურვილს, როდესაც პრემიერ-მინისტრმა წინმსწრებად დაიწყო ამის საკანონმდებლო ინიციატივის გაფორმება, რითაც, პრინციპში, როგორც პოლიტიკოსი, ირაკლი ღარიბაშვილი გაშიშვლდა“,** — აცხადებს გია ხუხაშვილი.

რაც შეეხება ქვეყნის ახალ პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს, როგორც ხუხაშვილი ამბობს, უდავოდ საინტერესო არჩევანი შეიძლება იყოს, რადგან კვირიკაშვილი ერთადერთი ადამიანია მთავრობაში, რომელსაც არ აქვს ხიდები დამწვარი სხვადასხვა მიმართულებით, რომელსაც აქვს რესურსი კომუნიკაციის აწყობის, მათ შორის, პრეზიდენტის ინსტიტუტთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

**„ხელისუფლების სხვა წევრები დარაზმული იყვნენ და პოლემიკაში იყვნენ შესული მთლიანად საზოგადოებასთან, შემდეგი ეპითეტებით — პროვოკატორები, მოღალატეები და ა.შ. სამწუხაროდ, ეს ფრაზები გვესმოდა ჩვენ. ერთადერთი იყო კვირიკაშვილი და ასევე, სერგეენკო, რომლებიც ყოველთვის კორექტული იყვნენ პრეზიდენტის და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ. აქედან გამომდინარე, თუ საუბარია კონსოლიდაციაზე და ახალი ხიდების გადებაზე, ამ მხრივ გიორგი კვირიკაშვილი ძალიან საინტერესო ფიგურა არის“,** — ამბობს for.ge-სთან საუბრისას გია ხუხაშვილი.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, როგორც წესი, თანამდებობიდან განთავისუფლება არის დასჯა. თუმცა, მისი თქმით, ასეთი სახის სადამსჯელო ოპერაციას არ აკეთებენ წინასაარჩევნო პერიოდში და ამავე დროს ცდილობენ, რომ თუკი ცვლილებები მოხდება, მას მოჰყვეს პერსპექტივა. ამ ცვლილებას კი პოლიტოლოგის განცხადებით, პერსპექტივა აქვს.

**„თუკი „ქართულმა ოცნებამ“ ხმების ის რაოდენობა მიიღო საპარლამენტო არჩევნებზე, რაზეც გათვლა აქვთ, ასეთ შემთხვევაში სიის პირველი ნომერი ან პრემიერი უნდა გახდეს, ან პარლამენტის თავმჯდომარე და დაიკავოს ძალიან მაღალი პოსტი სახელმწიფოში. ეს ცვლილება ღარიბაშვილის ხელახლა პრემიერობისთვის არ არის გამიზნული. ალბათ, ეს სვლა გამიზნულია იმისათვის, რომ ირაკლი ღარიბაშვილი გახდეს პარლამენტის მომავალი თავმჯდომარე. ამის შესაძლებლობა ამ ცვლილებაში ნამდვილად არის“,** — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

რაც შეეხება გიორგი კვირიკაშვილს, პოლიტოლოგი ამბობს, რომ საკმაოდ მცირე დრო რჩება იმისათვის, რომ მთავრობაში არსებითი ცვლილებები განახორციელოს, თუმცა, თვლის, რომ პიროვნული ზომიერებისა და თანამდებობრივი გამოცდილების გათვალისწინებით, კვირიკაშვილი კარგი პრემიერ-მინისტრი იქნება.

**„პირველი, კვირიკაშვილის გამონათქვამები არასოდეს გამხდარა სკანდალის და ჟურნალისტური ქილიკის საგანი, მას ყოველთვის გაზომილი აქვს სიტყვა-პასუხი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, რომ წინ არის არჩევნები და პოლიტიკურ პროცესში მნიშვნელოვანია გაწონასწორებული და სხვადასხვა მოვლენებზე თანაბარი ინტონაციით მოლაპარაკე ადამიანი. ამ მხრივ კვირიკაშვილი საკმაოდ სასიამოვნოდ გამოირჩევა ბევრისაგან.**

**რაც მთავარია, მან იცის, როგორც ეკონომიკა, ასევე საგარეო პოლიტიკური მიმართულებაც, ეს ხაზი ძალიან მნიშვნელოვანია პრემიერ-მინისტრისთვის. მისი თანამდებობრივი გამოცდილება პრემიერის თანამდებობაზე მხოლოდ გამოადგება. პიროვნული ზომიერება და თანამდებობრივი გამოცდილება — ეს არის მისი პლუსი. რაც შეეხება მინუსებს, ამ მხრივ თავი არ გამოუჩენია“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძემ.

მაშ ასე, პრემიერ-მინისტრი თანამდებობიდან გადადგა. მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის გადადგომა მთავრობის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას იწვევს. ასევე, კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, პრეზიდენტი შვიდი დღის ვადაში საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან შეთავაზებულ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს წარადგენს.

**თამთა ქარჩავა**

---

**დედაქალაქი**

# „გეოგრაფიკი“ ძველ თბილისს იერ-სახეს შეუნარჩუნებს

**თბილისის მერიაში დედაქალაქის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის პრეზენტაცია გაიმართა. თბილისის განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში კომპანია „გეოგრაფიკმა“ გაიმარჯვა, რომელმაც საკითხთან დაკავშირებით პირველად მოცულობითი კვლევა ჩაატარა.** პრეზენტაციას თბილისის მერი დავით ნარმანია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ვიცე-მერი ლაშა აბაშიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, თბილისის განვითარების ფონდის წარმომადგენლები, არქიტექტორები და ხელოვნებათმცოდნეები დაესწრნენ და კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ საკითხზე ღია დისკუსია გამართეს.



**„პირველადი კვლევა მოწონებულ იქნა, ვინაიდან, საკმაოდ ბევრ ინფორმაციას მოიცავს, რაც ჩვენთვის აუცილებელია შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად. მნიშვნელოვანია ის, რომ კვლევის შედეგად, ჩვენ, უკვე, შევქმნით სამუშაო ჯგუფს კულტურის სამინისტროსთან ერთად. პარალელურ რეჟიმში, სადღესასწაულო დღეების შემდეგ, დავიწყებთ საჯარო განხილვებს სპეციალისტებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, რათა რაც შეიძლება ფართო მასებისთვის გახდეს ცნობილი კვლევისა და მისი შედეგების შესახებ, ამასთან, მნიშვნელოვანია ერთობლივად დავგეგმოთ შემდგომი ნაბიჯები. საჭიროა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ძირითადი ფასეულობების და ღირებულებების შენარჩუნებით მოხდეს და გავაკეთოთ სტრატეგია შემდგომი საქმიანობის შესახებ“,** — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

ძველ თბილისში არესებული შენობა-ნაგებობების დიდი ნაწილის ავარიულობის გამო, სათანადო კვლევების საფუძველზე, საჭირო გახდა ქალაქის ისტორიული ძეგლების შენარჩუნების, აღდგენისა და განვითარების კონცეფციის შემუშავება. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის განვითარების ფონდმა, კომპანია „გეოგრაფიკის“ მეშვეობით, შესაბამისი კვლევა განახორციელა.

კვლევის არეალად განისაზღვრა ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის ძირითად რუკაზე არსებული 1768 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის №3/181 ბრძანების დანართით დამტკიცებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლების ნუსხა).

თბილისის ისტორიული ნაწილის განვითარების კონცეფციის შემუშავება ემსახურება ძეგლის სტატუსის მქონე შენობების და ისტორიული ლანდშაფტის ავთენტურობისა და მთლიანობის დაცვას, მართვის გაუმჯობესებას, რაც აუცილებელია საფრთხის წინაშე მდგარი ძეგლებისა და ისტორიული ურბანული ნაწილის შენარჩუნებისთვის. სამუშაოს ფარგლებში ჩატარდა დეტალური კვლევა და მომზადდა დოკუმენტი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ ტერიტორიის სივრცითი განვითარების რეგულირებისათვის, საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად.

ამასთან, თბილისის ისტორიულ ნაწილში განხორციელდა შენობა-ნაგებობების აღნუსხვა, რეალური მდგომარეობის ვიზუალური შეფასება და ამ არეალის ძირითადი ნიშან-თვისებების განსაზღვრა. ცალკეულ ზონებზე უკვე განხორციელდა პრიორიტეტების კლასიფიკაცია ავარიულობის ხარისხისა და ისტორიული ღირებულებების გათვალისწინებით.

შეიქმნა ქალაქის ურბანული ქსოვილის გაუმჯობესების გეგმაც უბნების მიხედვით, ხოლო თითოეულ უბანში შეფასდა არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და დაისახა მათი განვითარების გეგმა. ამჟამად, მუშავდება მიღებული მასალა, რომელიც დასამტკიცებლად ქალაქ თბილისის მერიასა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარედგინება.

## ევგენი ჯუღაშვილი

# პაპაჩემი სტალინი. „ის წმინდანია“




## საპატარძლოს ნახვა

**ბორჯომში** მიმავალმა გადავწყვიტე, შემევლო გორში რ.ა. ბზიშვილთან. მან და მისმა მეუღლე თამრიკომ ყურადღებით მოისმინეს ჩემი მონათხრობი ნანა ნოზაძესთან გაცნობისა და ჩემი გადაწყვეტილების შესახებ – შემერთო იგი ცოლად. ისინი დაინტერესდნენ, კარგად თუ ვიცნობდი ამ ოჯახს. ცხადი იყო, რომ დაწვრილებით ბევრს ვერაფერს მოვყვებოდი. „აი, რა, – დაფიქრებით მითხრა ბატონმა რევაზმა, – წავიდეთ უკან, მინდა გავიცნო ეს ოჯახი“. რაიკომის „ვოლგით“ თბილისისაკენ გავეშურეთ. უკანა გზაზე რ.ა. ბზიშვილი დიდხანს დუმდა. მას რაღაც აღელვებდა, „გოგონა კარგია, სიმპათიური, განათლებული, დაამთავრა უნივერსიტეტი, – დაიწყო მან წყნარად, – ქართული ოჯახია, ეს უეჭველია. მაგრამ ძალიან გაგიჭირდებათ მატერიალური თვალსაზრისით“. ვუპასუხე, რომ არც მე ვარ მდიდარი, მხოლოდ უფროსი ლეიტენანტი. „კეთილი, – მითხრა ბატონმა რევაზმა, – ქორწილს გორში გადავიხდით“.

თავიანთ სახლში სუფრა კორინთელების ოჯახმა გაშალა. გორელმა ახალმა მეგობრებმაც ოთარ ჭილაძემ („კოტანამ“) და თენგიზ ინაურმა („ტროკომ“) მიიღეს მონაწილეობა. ბიძაჩემი ვიქტორ ვასილის ძე რახმანოვი და მისი ცოლი ვერა პავლეს ასული ამ დროს საგზურებით ბორჯომში ისვენებდნენ. მათაც გავუგზავნეთ მანქანა. მაგრამ ისინი თავად ჩამოვიდნენ თენგიზ ჯაფარაშვილის „ზიმით“. რაიკომში რ.ა. ბზიშვილი მოგვეხვია ნანას და მე და მოგვილოცა. შემდეგ წაგვიყვანა საიუველირო მაღაზიაში ბეჭდებისათვის. მაგრამ იყო გამოსასვლელი დღე და მაღაზია დაკეტილი აღმოჩნდა. გაგზავნეს კაცი დირექტორთან, თუმცა დაბრუნდნენ უმისოდ – დირექტორი თბილისში წასულიყო. მილიციამ გახსნა მაღაზია, და ბზიშვილმა ხელქვეითების დახმარებით გახსნა ერთ-ერთი სტელაჟი და შეგვირჩია ოქროს ბეჭდები. მმაჩში არ იყო თანამშრომელი, რომელიც ქორწინებას არეგისტრირებდა. წავიდნენ მის მოსაყვანად. და ნანული და მე გაგვატარეს რეგისტრაციაში 1962 წლის 6 ოქტომბერს.

სარეგისტრაციო წიგნში ხელი მოაწერეს ოფიციალურად მოწვეულმა „მოწმეებმა“ პატარძლისა – ნანის ბავშვობის მეგობრებმა ელეონორა (ნორა) გვრიტიშვილმა და ციცინო დაუშვილმა. ისინი ერთად სწავლობდნენ ქალაქ თბილისის 57-ე საშუალო სკოლაში, უნივერსიტეტში, გახარებული იყვნენ დაქალის გაბედნიერებით. თუმცა ისევე, როგორც პატარძლის ყველა ნათესავი, ძალიან ღელავდნენ ნანის შემდგომ ბედზე შორეულ მოსკოვში. მთელმა მომზადებამ კი სამხედრო წესით ჩაიარა – სასწრაფოდ.

სუფრის თამადად აირჩიეს პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი ჯ.ნ. ლომაშვილი. მოგვიანებით თამადა თბილისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ.პ. მჟავანაძემ გამოიძახა. პოლიტმუშაკი ვ. მჟავანაძე ომის შემდეგ კიევის სამხედრო ოლქში მსახურობდა. იქორწინა ვიქტორია პეტრეს ასულზე – ნინა პეტრეს ასულ ხრუშჩოვას დაზე. ქვისლის ნიკიტა ხრუშჩოვის ფრთებქვეშ თავდაპირველად გაიზარდა გენერალ-ლეიტენანტამდე, შემდეგ კი ქართველი ხალხისათვის მოულოდნელად „ერთსულოვნად აირჩიეს“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. არადა, ხომ ამბობენ, სასწაულები არ ხდებაო.

„რის ნებას აძლევთ თავს? – დაიწყო ვ. მჟავანაძემ. – გორში ქორწილში სვამთ სტალინის სადღეგრძელოს. თქვენ რა, არ იცით პარტიის გადაწყვეტილება პიროვნების კულტის შესახებ?“ – „ვიცი, – უპასუხა ჯ. ლომაშვილმა. – ქორწილებში, ჩვენი წეს-ჩვეულებებით, სვამენ საქმროსა და პატარძლის წინაპრების სადღეგრძელოს. რა უნდა მექნა, თუ ჩვენი სასიძოს ბაბუა სტალინია?“

## ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილი

**იმ** წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში იყო ჯ.ი. პატიაშვილი. გაცნობის დროს ბატონმა ჯუმბერმა თავად მიამბო, რომ ერთ სკოლაში ჩემ ცოლთან ერთად სწავლობდა. ჩვენს შორის საკმაოდ ხშირი შეხვედრების დროს თითქმის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. მე მას ვახსენებდი ჩემი მუშაობის შესახებ, ვსაუბრობდით ვასილზე, სვეტლანაზე, მათი ბავშვებისა და ჩვენი ცივი ურთიერთობის შესახებ. პოლიტიკას არასოდეს შევხებივართ. ჯ.ი. პატიაშვილი, მართალია, იყო, როგორც ყველა ქართლელი, გულღია და პირდაპირი, მაგრამ ჩემთან, ჩემივე ინტერესების გამო, გაურბოდა პოლიტიკურ თემებს. მაგრამ ერთხელ, არ მახსოვს რატომ, შევიარე მცხეთაში ცენტრალური კომიტეტის დამხმარე მეურნეობაში. იქ იმყოფებოდა პატიაშვილი პატივსაცემ სტუმრებთან ერთად მოსკოვიდან. ეს იგრძნობოდა შავი „ვოლგებითა“ და მანქანა „ჩაიკით“.

ბატონი ჯუმბერი ბაღში ვნახე. მაგიდასთან იჯდა მარტო და პორტატულ მიმღებს უსმენდა. თავის დაქნევით მომესალმა, რაღაც ჩაფიქრებული იჯდა. პაუზის შემდეგ მან მოულოდნელად წყნარად თქვა: „ვინ გვმართავს“. ეს ფრაზა მან ერთი-ერთზე მითხრა. ვერ დავმალავ, მესიამოვნა, რომ ჯუმბერ ილიას ძემ თუნდაც ასე მაგრძნობინა თავისი დამოკიდებულება კრემლის ხელისუფლებისადმი.

მორიგი შვებულების დროს გადავწყვიტე, ბინის საკითხზე მიმემართა პატიაშვილისათვის. თუმცა, ამ თემაზე, როგორც ამბობენ, ცენტრალურ კომიტეტში კრინტსაც არ ძრავდნენ. მან მომისმინა და დამპირდა, რომ იფიქრებდა. ეს თემა რომ დავამთავრეთ, საუბარი ნანაზე დავიწყეთ – როგორ გრძნობს თავს მოსკოვში, ვისთან აქვს ურთიერთობა, სად მუშაობს. მოულოდნელად შემეკითხა: „შენ ედუარდ ამბროსის ძეს იცნობ?“ ვუპასუხე, რომ არა, არ ვიცნობ. იქვე დარეკა ტელეფონზე. მივხვდი, რომ შევარდნაძეს ურეკავდა. ერთი-ორი წუთის საუბრის შემდეგ, მითხრა: „წავიდეთ, გველოდება“. ზაფხული იყო. თბილისში მიღებული იყო, სამხედროებს არ ეტარებინათ ჰალსტუხი, რასაც მოსკოვზე ვერ იტყოდი. გავიფიქრე, რომ უჰალსტუხოდ მისვლა პირველ მდივანთან უხერხული იყო, და ამის შესახებ ვუთხარი ჯუმბერ ილიას ძეს. მან შემომხედა და ხელი ჩაიქნია. მახსოვს, საღამოს 10 საათი იყო. დერეფანში რომ მივდიოდით, ბატონმა ჯუმბერმა გამაფრთხილა, რომ შევარდნაძეს არაფერი ვთხოვო. „კეთილი“, – ვუპასუხე მე.

ეს იყო ის დრო, როდესაც ლ.ი. ბრეჟნევი უწონებდა საბჭოთა მხედართმთავრებს მემუარების წერას. გამოვიდა ა.მ. ვასილევსკის, გ.კ. ჟუკოვის, კ.კ. როკოსოვსკის, ს.მ. შტემენკოს, ი.ხ. ბაგრამიანის და ა.შ. მოგონებები, დაიბეჭდა საბჭოთა კონსტრუქტორების ა.ს. იაკოვლევის, ვ.გ. გრაბინის წიგნები. გეჩვენებოდა, რომ ყველაფერი მიდის სტალინის სხვაგვარ შეფასებამდე, რაც მოცემული იყო ნ. ხრუშჩოვის მოხსენებაში პარტიის XX ყრილობაზე. მისაღებში მდივანი უყურებდა ტელევიზორს ძალიან ჩაწეულ ხმაზე, უხმოდ დაუქნია თავი ჯუმბერ ილიას ძეს, რომელიც უკვე შევარდნაძის კარისკენ მიდიოდა. პირველი მდივნის კაბინეტშიც სრული სიწყნარე იყო, მის მაგიდაზე ლამპა ენთო. ედუარდ შევარდნაძე იჯდა და რაღაც ქაღალდებზე მუშაობდა. როდესაც დაგვინახა, ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამომართვა და შემომთავაზა დავმჯდარიყავი. ჩვენ ერთი-მეორის პირისპირ დავსხედით. თავდაპირველად შემათვალიერა და მითხრა: „გისმენთ“. მახსოვდა პატიაშვილის სიტყვები „არაფერი სთხოვოო“, მე მოკლედ ვუამბე ჩემი წარმატებების შესახებ მოსკოვში (ადიუნქტურაში შესვლა, მორიგი სამხედრო წოდების მიღება, მეუღლის შესახებ და ა.შ.). ჩემი „ანგარიშის“ ბოლოს ვთქვი: „ბატონო ედუარდ, მოსკოვში მე პრობლემები არა მაქვს“. ჩამოწვა პაუზა. იგი შევარდნაძემ გაწყვიტა: „თბილისში გაქვთ?“

აქ მე მრავალმნიშვნელოვნად შევხედე ჯ.პატიაშვილს: ხომ ხედავთ, ჩემი ბრალი არაა, და ვუთხარი ჩემი ბინის პრობლემის შესახებ. ამჯერად ჩემთვის უფრო იოლი იყო, ვიდრე იმასთან შედარებით, გ.დ. ჯავახიშვილთან რომ ვიყავი. იქ საკითხი ნულიდან იწყებოდა. აქ კი საკითხი შეეხებოდა ჩემი სამოთახიანი ბინის გაცვლას მსგავს ბინაზე სართულით დაბლა. არანაირი დაპირება ე. შევარდნაძეს არ მოუცია. თუმცა ჩემმა სიმამრმა – პერსონალურმა პენსიონერმა გიორგი სიმონის ძე ნოზაძემ (წინა ბინა მასზე იყო გაფორმებული) მიიღო ორდერი სამოთახიან ბინაზე მესამე სართულზე ჭავჭავაძის პროსპექტზე.

უეჭველია, მადლობა ე. შევარდნაძეს, რომ სწრაფად გადაწყდა ჩემი საკითხი, მაგრამ განსაკუთრებით მადლობელი ვარ ბატონი ჯუმბერისა. ეს მან დაურეკა, მიმიყვანა მის კაბინეტში და გამაცნო. მისი სიტყვები კი –„არაფერი სთხოვოო“ – ეს იყო ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკთა დიპლომატია. ჯუმბერ ილიას ძემ წამიყვანა გასაცნობად და უმალვე რომ მეთხოვა, მთლად კარგი არ უნდა ყოფილიყო ჩემთვის. მას მთელი გულით უნდოდა დამხმარებოდა, ბინის მიღების შემდეგ კი აინტერესებდა სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობა. რაც შეეხება შევარდნაძეს, ედუარდ ამბროსის ძე, ეტყობა, ვარაუდობდა, რომ სტალინისადმი დამოკიდებულება შეიძლებოდა წასულიყო უკუმიმართულებით. ის ყოველთვის ერკვეოდა დროის ვითარებაში. განა ამაოდ შეარქვეს „თეთრი მელა“. მაგალითად, პარტიის XX ყრილობის შემდეგ, 50-იანი წლების ბოლოს ის მუშაობდა ქუთაისში კომკავშირის პირველ მდივნად. ქალაქის ერთ-ერთ დღესასწაულზე მე შემომთავაზეს გავცნობოდი ე. შევარდნაძეს. მაგრამ, როგორც კი გაიგო, თუ ვინ უნდა გააცნონ მას, უმალვე გაქრა ბრბოში. მისი ზურგი დღემდე ჩარჩა ჩემ მეხსიერებაში. აი ბრეჟნევის დროს კი ის ღებულობს სტალინის შვილიშვილს, ეხმარება მას პრობლემების გადაჭრაში და მისთვის მზე ამოდის არა აღმოსავლეთიდან, არამედ, მისი სიტყვების თანახმად, ჩრდილოეთიდან.

## მამის საჩუქარი

**ი.ბ. სტალინის** შვილები ნადეჟდა ალილუევასაგან ვასილი (დაიბადა 1921 წელს) და სვეტლანა (დაიბადა 1926 წელს) დაბადების შემდეგ რეგისტრაციაში გაატარეს, როგორც სტალინი და სტალინა. მისმა შვილმა პირველი ცოლისგან ეკატერინე სვანიძისგან იაკობმა (დაიბადა 1907 წელს) მიიღო ჯუღაშვილის გვარი. რატომ არ მისცა იოსებ ბესარიონის ძემ თავის შვილებს მეორე ქორწინებიდან თავისი ნამდვილი გვარი, რომელიც დაბადებიდან ჰქონდა? სტალინი – ესაა პარტიის მიღწევა და მიღწეული გამარჯვებების სიმბოლო! შეძლებენ განა მისი შვილები და შვილიშვილები ღირსეულად ატარონ „მონომახის ეს ქუდი“? ეს, უწინარეს ყოვლისა, მეორე მხრივ კი, მან იცოდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ „უამრავ ნაგავს მიაყრიან მას“. მაშინ როგორიღა გახდება „ახალი „სტალინური“ თაობის“ მდგომარეობა?

მოვლენებმა მალე აჩვენეს, რომ ასეთი გვარი სულაც არაა საჩუქარი. პირველი, ვინც ეს გაიგო, იყო ვასილის შვილი საშა სტალინი. ეტარებინა პასუხისმგებლობის სასწაულებრივი ტვირთი, თანაც ხელოვნების მუშაკთა გარემოში (ის თეატრალურ უმაღლეს სასწავლებელში შესვლაზე ოცნებობდა), საშამ არ ისურვა. პასპორტის მიღების დროს მამის გვარის ნაცვლად მან დედის გვარი ჩაწერა. და ყველამ იცოდა, რომ ალექსანდრე ბურდონსკი სტალინის შვილიშვილია, მაგრამ, როგორც ამბობენ, მას ყოველთვის იზიდავდა წარმომავლობა. თუმცა მისი გამოყენება მას არ ეთაკილებოდა, ღებულობდა ნებისმიერ მიწვევას. ეს ხელს არ უშლიდა რეჟისორ ა. ბურდონსკის ყოფილიყო ბაბუის მტრების ბანაკში. თუმცა ეს უკვე სხვა ისტორიაა.

## გაქცევა და დაბრუნება

**სვეტლანამ** ამგვარი ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა მხოლოდ 1957 წელს. მან გვარი შეიცვალა ალილუევაზე და გათხოვდა (მერამდენედ!) ინდოელ დიპლომატ ბრადეჟ სინგ რაჯაზე. ქმრის გარდაცვალება 1967 წელს საშუალებას აძლევს სვეტლანას წავიდეს მის დაკრძალვაზე ინდოეთში. იქ ის ამერიკის საელჩოში აღმოჩნდა. ჩვიდმეტი წლის არყოფნის შემდეგ 1984 წელს სვეტლანა პეტერსი (ამერიკის შეერთებულ შტატებში ის კვლავ გათხოვდა არქიტექტორ ვ.ვ. პეტერსზე) ბრუნდება მოსკოვში ქალიშვილ ოლგასთან ერთად. ის გაჩერდა სასტუმრო „სოვეტსკაიაში“. სვეტლანას შვილმა იოსებ ალილუევმა მაცნობა მათი ტელეფონი. საუბრის შემდეგ მივედი სასტუმროში, მღელვარებით ავედი მეორე სართულზე. სვეტლანა შემხვდა ღიმილით და რაღაც ცნობისმოყვარეობით მიყურებდა. მე სამხედრო ფორმაში ვიყავი. ჩემ წინადადებაზე ჩავსულიყავით რესტორანში სავახშმოდ, მან უარი მითხრა.

ამის სანაცვლოდ მან გამოაღო მაცივარი, რომელიც აბსოლუტურად ცარიელი აღმოჩნდა, გამოიღო დაუცლელი შამპანიური და თითო სირჩა შევსვით მისი დაბრუნების აღსანიშნავად. მოვილაპარაკეთ შეხვედრის შესახებ ჩემთან სახლში. იაშა სკოლაში სწავლობდა, აი უფროსი შვილი ბესარიონი მსახურობდა არმიაში მოსკოვის ოლქის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარებში. წავედი მასთან ქალაქ ნოგინსკში, ნაწილის უფროსმა ის ორი დღით გაათავისუფლა.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 239-242**

## განცხადება
### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი ხოშტარიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი ხოშტარია (პ/ნ 42001005245), ფოთი, არსენას ქ. №67.
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ფოთი, არსენას ქ. №63 (საკადასტრო კოდი: 04.01.03.135).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული გარდამავალი ვალდებულებები.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 7845.76 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 1196.79 ლარს);
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 5 იანვარი, 11:00 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;
5. **მოვალე:** გიორგი ხოშტარია (პ/ნ 42001005245), ფოთი, არსენას ქ. №67.
6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602 ან 2. ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 5 იანვრის 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

## განცხადება
### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თამაზ თავართქილაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამაზ თავართქილაძე (პირადი №61001003588), მის: ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №79/81, ბინა 6;
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ ბათუმი, ასათიანის ქ. №79/81, სართული 2, ბინა 6 (საკადასტრო კოდი: 05.28.38.029.01.006).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 116117.40 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 17712.54 ლარს).
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2015 წლის 25 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 5 იანვარი, 12:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP26877515;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 268775
6. **მოვალე:** თამარ თავართქილაძე (პირადი №61001021550), ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №79/81, ბინა 10.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP26877515; ლოტის ნომერი: 268775).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 4 იანვარს, 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

## განცხადება
### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დავით გაჩეჩილაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით გაჩეჩილაძე (პ/ნ 01011003292), ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №73ბ;
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №51, სართული 1, სართული 4, ბინა №11 (საკადასტრო კოდი: 01.14.07.007.018.01.011).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული გარდამავალი ვალდებულებები.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 110932,12 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 16921,58 ლარს);
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 5 იანვარი, 12:00 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;
5. **მოვალე:**
გიორგი ბერია (პ/ნ 01008038078), თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №51, კორპუსი 1, ბინა №11;
დავით ბერია (პ/ნ 01008047242), თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №51, კორპუსი 1, ბინა №10;
დავით გაჩეჩილაძე (პ/ნ 01011003292), ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №73ბ.
6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602 ან 2. ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 5 იანვრის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

## განცხადება
### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მაია გურაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაია გურაშვილი (პ/ნ 40001002177), ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, გაგრის ქუჩა, ჩიხი IV №3, ბინა №7.
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, გაგრის ქუჩა, ჩიხი IV №3, პირველი სართული, ბინა №7 (საკადასტრო კოდი: 01.20.01.123.020.01.007).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული გარდამავალი ვალდებულებები.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 12718.85 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 5 იანვარი, 11:30 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;
5. **მოვალე:** დავით ანდრიაშვილი (პ/ნ 14001005933), ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, გაგრის ქუჩა, ჩიხი IV №3, ბინა №7;
6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602 ან 2. ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 5 იანვრის 11:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

### ობიექტი № 1

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| | | უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში - მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ღრმაღელე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეურნეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 365 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ღრმაღელე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე<br>(საწყისი ფასის 10 %) | 1,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი | 210 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| | სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 25 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 25 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 25 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 25 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 13** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. პალდოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. იორის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 30 300 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. პალდოს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 612 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 461,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 890 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 25 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 25 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 25 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 25 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 14** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |

| | | |
|---|---|---|
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა საქარის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 095 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა საქარის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 35 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 228 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 25 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 25 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 25 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 25 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 15** | |
| | ბუნებრივი რესურსებით | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |

| | | |
|---|---|---|
| სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) სალიცენზიო ობიექტი (ჭა) საჭიროებს შემოღობვას და მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდას.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. თბილისი, სოფ. დიდი ლილოს ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 73 000 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. თბილისი, სოფ.დიდი ლილოს ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 359 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 235,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 087 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 25 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 25 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 25 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 25 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

ახალგაზრდობის შესაკრებლები

# რა უნდა ვჭამოთ, რომ არ დავბერდეთ

**არსებობს მარადიული ახალგაზრდობის ელიქსირი? მეცნიერთა აზრით, სიბერის პრობლემები ბევრად არის წინასწარ განსაზღვრული ორგანიზმში იმ ვიტამინებისა და მინერალების დეფიციტით, რომლებსაც აქვთ ანტიოქსიდანტური თვისებები. მაშასადამე, რომ კვლავაც დავრჩეთ ახალგაზრდები, უნდა ვიზრუნოთ სწორი კვებისათვის.**

დიეტოლოგებს მიაჩნიათ: გამაახალგაზრდავებელ მოქმედებას აწარმოებს არა ერთი რომელიმე ნივთიერება, არამედ მათი კომპლექსი. ანტიოქსიდანტებს – ესაა ნივთიერებანი, რომლებიც იცავენ ორგანიზმს ვადამდელი დაბერებისა და ასაკობრივი დაავადებებისაგან, – მოაქვთ სარგებელი მხოლოდ მაშინ, როდესაც მუშაობენ მჭიდრო თანამშრომლობით. ამ სასარგებლო ნივთიერებებიდან თითოეულს ხომ შეუძლია გააძლიეროს და შეავსოს სხვისი მოქმედება. მაგალითად, C ვიტამინი იცავს დანგრევისაგან სელენს და E ვიტამინს, E ვიტამინი კი, თავის მხრივ, გვეხმარება A ვიტამინის ათვისებაში. ამ შეუცვლელ საკვებ ნივთიერებებს ორგანიზმი თავად არ აწარმოებს და ყოველდღე უნდა მიიღოს საკვებთან ერთად. გინდათ, გამოიყურებოდეთ ახალგაზრდულად და მიმზიდველად, საუცხოოდ გრძნობდეთ თავს? დაეხმარეთ ორგანიზმს, შეინარჩუნოს ანტიოქსიდანტური დაცვის აუცილებელი დონე, ყოველდღიურად ჩართეთ კვების რაციონში პროდუქტები, რომლებშიც ბევრია შემდეგი ელემენტები:

### A ვიტამინი (რეტინოლი) და მისი პროვიტამინი (კაროტინი) ფუნქციები ორგანიზმში:

● ეს ორი ნივთიერება პასუხისმგებელია ქონისა და ოფლის ჯირკვლების უწყვეტ მუშაობაზე, რომლებიც ინარჩუნებენ ტენს, იცავენ კანს სიმშრალისაგან, აქერცვლისა და ვადამდელი ნაოჭების წარმოქმნისაგან;

● მნიშვნელოვანია თვალების ჯანმრთელობისათვის:

● უზრუნველყოფენ ცილებისა და ნახშირწყლების ნორმალურ ცვლას, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების, კერძოდ, თირკმელზედა და კუჭქვეშა ჯირკვლების, მუშაობას.

**ძირითადი მიმწოდებლები:**

საქონლის ღვიძლი, რძე, ხაჭო, არაჟანი, ყველი, კვერცხის გული, სტაფილო, პომიდორი, ჭერმის ჩირი, მანგო, წითელი წიწაკა, მწვანილი.

### C ვიტამინი (ასკორბინის მჟავა) ფუნქციები ორგანიზმში:

ახანგრძლივებს და ანელებს უჯრედების დაბერების პროცესს, სტიმულს აძლევს განსაკუთრებული ცილის კოლაგენის წარმოქმნას, რაზეც დიდად არის დამოკიდებული კანის საფარის სიმკვრივე და ელასტიურობა;

აჯანსაღებს სისხლძარღვებს, აწესრიგებს ქოლესტერინის ცვლას;

ასკორბინის გარეშე შეუძლებელია ჟანგვით-აღდგენითი რეაქციები ორგანიზმში. რაც უფრო ინტენსიურად ხდება ეს რეაქციები (მაგალითად, ავადმყოფობის დროს), მით მეტად იხარჯება C ვიტამინი;

ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგობას მრავალი არახელსაყრელი ფაქტორებისადმი (ინფექციები, გადახურება, გაცივება), ამით ამაგრებს იმუნიტეტს;

ასკორბინზე მოთხოვნილება იზრდება დაძაბული ფიზიკური და გონებრივი მუშაობით, სპორტული ვარჯიშების დროს.

**ძირითადი მიმწოდებლები:**

ასკილი, ახალგაყინული შავი მოცხარი, ლიმონი, ფორთოხალი, გრეიფრუტი, კივი, მანდარინი, თხილი, ქაცვი, მჟავე კომბოსტო.

### E ვიტამინი (ტოკოფეროლი) ფუნქციები ორგანიზმში:

● აწვდის საკვებსა და ჟანგბადს ქსოვილებსა და უჯრედებს, იცავს მათ დამამჟავებელი პროდუქტებით დანაგვიანებისაგან, რომლებსაც მივყავართ მათს ვადამდელ დაბერებასთან;

● ასრულებს მნიშვნელოვან როლს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების თავიდან აცილებაში;

აწესრიგებს საკვერცხეებისა და სხვა ენდოკრინული ჯირკვლების მუშაობას;

ზრდის შრომისუნარიანობასა და ამტანობას, ამიტომ სავსებით აუცილებელია იმათთვის, ვინც ცდილობს, შეინარჩუნოს კარგი ფორმა.

**ძირითადი მიმწოდებლები:**

არარაფინირებული მცენარეული ზეთები (მზესუმზირის, სიმინდის, ზეითუნის, სელის), ასკილი, კვერცხის გული, ბარდა, კაკლები (მაგალითად, ნუში, არაქისი), ლობიო, ოსპი, ხორბლის გაღვივებული მარცვლები.

### სელენი ფუნქციები ორგანიზმში:

უზრუნველყოფს ქსოვილების სუნთქვას და უჯრედების ზრდას, აახალგაზრდავებს მთელ ორგანიზმს; სელენი ილექება თმებსა და ფეხის თითების ფრჩხილებში. მათი მდგომარეობის მიხედვით – ჯანსაღი ბრჭყვიალით და გადატკეცილობით – შეიძლება გაიგოთ, ჰყოფნის თუ არა ორგანიზმს ახალგაზრდობისა და სილამაზის ეს მინერალი;

დადებით გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემაზე.

**ძირითადი მიმწოდებლები:**

თევზი, ხორცი (განსაკუთრებით ქათმისა და ღორისა), ყველი, კვერცხი, ხახვი, პომიდორი, კომბოსტო, ციტრუსები, მსხალი, ფერადი კომბოსტო, სოია, არაქისი, თხილი.

### თუთია ფუნქციები ორგანიზმში:

● მინერალი, რომელსაც აქვს ანთების საწინააღმდეგო და შემახორცებელი თვისებები, წარმატებით კურნავს ჭრილობებს, იცავს ნაზ კანს მიკრობებისა და ბაქტერიებისაგან. როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ, მინერალის დეფიციტმა შეიძლება დააჩქაროს პირველი ნაოჭების გაჩენა;

● აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სისხლის წარმოქმნაში;

● აწესრიგებს იმუნიტეტს, წინააღმდეგობას უწევს გაციების ვირუსების გავრცელებას, მონაწილეობას ღებულობს ორგანიზმის წამყვანი იმუნური ჯირკვლის – ტიმუსის – ჰორმონების სინთეზსში;

● აუმჯობესებს სასქესო ჯირკვლების, თირკმელზედა, კუჭქვეშა ჯირკვლების მუშაობას.

**ძირითადი მიმწოდებლები:**

საქონლის ხორცი, ქათმის ხორცი, ნუში, თხილი, არაქისი, ნიორი, ტკბილი წიწაკა, სტაფილო, კომბოსტო, შვრიის ბურღული, ახალი და გამხმარი სოკო. მარცვლეულ და პარკოსან პროდუქტებშიც (პურ-ფუნთუშეული, ბარდის პროდუქტები, ლობიო) არის თუთია, მაგრამ მათგან იგი ცუდად შეიწოვება კუჭ-ნაწლავისაგან. აი, ხორცისა და თევზის კერძებიდან თუთიის ათვისება ხდება მთლიანად.

### გასათვალისწინებლად

აქტიური ვარჯიშებისა და დიდი ფიზიკური დატვირთვის დროს ორგანიზმში ჟანგვითი რეაქციები გაცილებით ინტენსიურად მიმდინარეობს, მაშასადამე, იზრდება იმ ვიტამინებისა და მინერალების ხარჯვა, რომლებსაც ანტიოქსიდანტური თვისებები აქვს. თუ თქვენი შრომა დიდ ფიზიკურ უკუგებას მოითხოვს, თქვენს რაციონში აუცილებლად ჩართეთ პროდუქტები ანტიოქსიდანტების მაღალი შემცველობით.

კრივი

# თითო „ოქრო-ბრინჯაო“ და ორი „ვერცხლი“



ცხრა ქვეყნის ახალგაზრდა მოკრივეები მონაწილეობდნენ აბას აგალაროვის მემორიალში, რომელსაც აზერბაიჯანის დედაქალაქმა უმასპინძლა. ბაქოში საქართველოს ნაკრების ექვსმა წევრმა იასპარეზა, რომლებმაც თითო „ოქრო-ბრინჯაო“ და ორი „ვერცხლი“ მოიპოვეს და გუნდური მეოთხე ადგილი დაიკავეს. პირველ-მესამე ადგილებზე ყაზახეთი (4 ოქრო), უზბეკეთი (3) და აზერბაიჯანი (2) გავიდნენ. ჩვენებურთაგან კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე ავიდა გიორგი ზურაბიანი (+91), რომელმაც ფინალში ყაზახი არდაკ ალიმხანი დაჯაბნა. მეორე ადგილებზე გავიდნენ ოთარ ნავერიანი (52) და გიორგი მანჯავიძე (64). ნავერიანმა ელვინ ჰალილოვი (აზერბაიჯანი), ფარიდ მალახსი (ისრაელი) და რახმატულა კუზიევი (უზბეკეთი) დაამარცხა, გადამწყვეტი ორთაბრძოლა კი აიდის არაპოვთან (ყაზახეთი) წააგო. მანჯავიძემ დოვლეთგელდი ნურლიევს (თურქმენეთი) და ბახტიარ გაჯიბეკობს (აზერბაიჯანი) სძლია, თუმცა, ფინალი რეი სეიტჟანოვთან (ყაზახეთი) დათმო. სახილ ალახვერდიევი (49) ნახევარფინალში ვასილი სავჩუკთან (ყაზახეთი) ვერაფერს გახდა და მესამე ადგილს დაყაბულდა. გიორგი ჩარგაზია (56) და გიორგი მჟავია (60) სტარტზევე გამოეთიშნენ შეჯიბრებას. ამ ასაკის მოკრივეები გაისად მაისში ევროპის პირველობაზე გამოვლენ.

**გიორგი გაგუა**

ხელბურთი

# თასის მფლობელი ჩემპიონატშიც დაწინაურდა

**საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა 2015-2016 წლების ეროვნულ ჩემპიონატში რვა გუნდი იბრძოლებს მედლებისთვის. ორწრიანი პაექრობების შემდეგ გაირკვევა საუკეთესო ოთხეული, რომელიც ოლიმპიური სისტემით გამოავლენს ჯილდოების მფლობელთ.**

დასავლეთის რეგიონის ოთხი გუნდი ქუთაისში შეიკრიბა და იქაურ სპორტის სასახლეში ისინი წრიული სისტემით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირველ ტურში ბათუმის „შავი ზღვის ბიჭებმა“ იოლად სძლიეს ფოთის „ოქროს ვერძს“ — 44:29, ხოლო „სამტრედიამ“ „ქუთაისი“ დაჯაბნა — 45:31. მე-2 ტურის შეხვედრები ასე დასრულდა: „ფოთი“ — „სამტრედია“ 30:49, „ბათუმი“ — „ქუთაისი“ 32:26.



პირველი წრის მესამე ტურში დიდ ინტერესს იწვევდა ლიდერების — „ბათუმისა“ და „სამტრედიის“ ორთაბრძოლა. „შავი ზღვის ბიჭებმა“, რომლებმაც წლეულს საქართველოს თასი მოიპოვეს, შეხვედრის ბოლო ხუთ წუთში იძალეს და პაექრობაც თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს — 32:29. მეორე მატჩში აუტსაიდერებმა გაარკვიეს ერთმანეთთან ურთიერთობა: „ქუთაისმა“ „ფოთს“ 6 ბურთის სხვაობით (44:38) აჯობა.

**სამტრედია-ბათუმი 29:32**

**„სამტრედია“:** სამიტაშვილი, ხონელიძე, სიმონია — 12, თევზაძე — 9, გოგოლაძე — 4, გიორგაძე — 2, ვ. ზურაბიანი — 2, ხაჟომია, ღაღანიძე, ჯ. ნიკურაძე, ანტონოვიჩი, ცხვარაძე, გეგია, რ. ზურაბიანი.

**„ბათუმი“:** ანდრიაძე, დავითაძე, მაისურაძე — 12, გოგალაძე — 7, ქარდავა — 4, წითელიშვილი — 3, წივწივაძე — 3, გ. კობახიძე — 2, აბრამიშვილი — 1, ბერძენიშვილი, სურმავა, ვინოგრადსკი, ჭანტურია, მაისაშვილი, ვარშანიძე.

**ქუთაისი-ფოთი 44:38**

**„ქუთაისი“:** სამყურაშვილი, გულეიშვილი, კბილაშვილი —15, კვერნაძე — 8, გრიშიკაშვილი — 7, რუსტამოვი — 6, მათნაძე — 5, ჯულელი — 2, ჩიხლაძე — 1, მერკვილაძე, უ. კობახიძე, ბ. გიორგაძე, ლომიძე, ძნელაძე.

**„ფოთი“:** ცერცვაძე, ბიბილეიშვილი — 11, გამზარდია — 10, მიქაძე — 7, ჟვანია — 6, ალანია — 2, ბაჯალაძე — 2, შარტავა, გოგიშვილი, ნემსაია, დაგარგულია, კორსანტია, კუჭავა.

**მსაჯები:** ი. ჭკუასელი, ე. არაბული.

**სამი ტურის შემდეგ**

„ბათუმი“ — 6, „სამტრედია“ — 4, „ქუთაისი“ — 2, „ფოთი“ — 0 ქულა.

28 დეკემბერს თბილისის გუნდები — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, „პეგასი“, „ქარიშხალა“ და „იმედი“ ჩაებმებიან შეჯიბრებაში. ისინი „არენაში“ ითამაშებენ.

**28 დეკემბერი.** სტუ — „ქარიშხალა“, „პეგასი“ — „იმედი“.

**29 დეკემბერი.** „ქარიშხალა“ — „პეგასი“, „იმედი“ — სტუ.

**30 დეკემბერი.** „ქარიშხალა“ — „იმედი“, სტუ —„პეგასი“

**ლექსო ცინცაძე**

სუმო

# ტოჩინოშინი – ზედიზედ მესამედ კომუსუბის რანგში

**იაპონიის სუმოს ასოციაციამ განახლებული რეიტინგი, იგივე ბანძუკე, გამოაქვეყნა, რომელშიც ელიტარულ მაკუუჩი დივიზიონში მოასპარეზე ქართველ სეკიტორებს — ტოჩინოშინსა და გაგამარუს მცირე ცვლილებები შეეხოთ.**

ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილი ლევან გორგაძე გასულ კიუშიუ ბაშოზე აღმოსავლეთის კომუსუბის წოდებით ირჯებოდა და მინიმალური უარყოფითი ბალანსი (მაკე-კოში) დააფიქსირა — 7 მოგება, 8 მარცხი.



როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ტოჩინოშინი მხოლოდ 1 პოზიციით დაქვეითდა და კომუსუბის რანგი შეინარჩუნა. ახლა ქართველი სუმოისტი დასავლეთის კომუსუბია და სანიაკუში (პირობითი კატეგორია, რომელშიც 4 უმაღლესი წოდების — იოკოძუნა, ოძეკი, სეკივაკე, კომუსუბი — მქონე სუმოისტები არიან გაერთიანებულნი) ადგილს ისევ ინარჩუნებს. ცნობისთვის, ლევანი კომუსუბის რანგში ზედიზედ მესამედ, სულ კი მეშვიდედ იასპარეზებს.

მცირე წინსვლა შეეხო თეიმურაზ ჯუღელს, იგივე გაგამარუს, რომელმაც ნოემბრის სუპერტურნირზე 8 მოგება და 7 მარცხი მიითვალა და აღმოსავლეთის მე-11 მაეგაშირას ტიტული დასავლეთის მე-9 მაეგაშირობაზე გაცვალა.

განახლებულ ბანძუკეს სათავეში მონღოლი იოკოძუნა ჰარუმაფუჯი ჩაუდგა, რომელმაც კიუსიუში „იმპერატორის თასი“ არავის დაუთმო. მას კვალში თანამემამულე იოკოძუნები ჰაკუჰო და კაკურიუ უდგანან.

ოძეკებს შორის წამყვანი პოზიცია კისენოსატოს უკავია. ამავე რანგში იმყოფებიან ტერუნოფუჯი, კოტოშოგიკუ და გოეიდო.

33 წლის ასაკში რანგით მე-3 წოდებას (სეკივაკე) პირველად უწია იოშიკაძემ. სეკივაკეს ტიტულით იასპარეზებს ტოჩიოძანიც, კომუსუბის წოდებით კი, ტოჩინოშინის გარდა, იკიოისაც ვიხილავთ.

მაკუუჩი დივიზიონს დაუბრუნდნენ ტაკანოივა და ძიოკორიუ. ელიტაში პირველად იასპარეზებენ 24 წლის შიოდაი და 21 წლის კაგაიაკი, ხოლო სადანოფუჯი, დაიეიშო, ასასეკირიუ და ტოკიტენკუ რანგით მე-2 დივიზიონ ძურიოში დაქვეითდნენ.

2016 წლის პირველი კლასიკური ტურნირი ტოკიოს სუმოს სასახლე „კოკუგიკანში“ შედგება. მომავალი ბაშო 10-24 იანვარს ჩატარდება.

**კობა კობახიძე**

ჭადრაკი

# ქართული ოთხეულიდან მხოლოდ ხოტენაშვილმა იმარჯვა



**ყატარის ღია პირველობაზე მოთამაშე ქართული ოთხეულიდან მე-4 ტურში წარმატებას მხოლოდ ერთმა მიაღწია, ერთმა პარტია ფრედ დაასრულა, ორმა კი მარცხი განიცადა.**

თეთრი ფიგურებით გამარჯვება ბელა ხოტენაშვილმა (2496) იზეიმა, რომელმაც რუს ალექსეი სლავინს (2388) აჯობა და 1.5 ქულით ზუსტად მე-100 ადგილს უწია.

102-ე პოზიციაზეა სოფიკო გურამიშვილი (2368), რომელმაც შავებით ინდოელ კიდამბი სუნდარარაჯანთან (2513) წააგო და ასევე 1.5 ქულა შერჩა.

თითო-თითო ქულა აქვთ და, შესაბამისად, 111-ე და 124-ე ადგილებზე იმყოფებიან ნინო ბაციაშვილი (2498) და ნანა ძაგნიძე (2559). პირველი თეთრებით ინდოელ აჰუჯა როჰანთან (2426) დამარცხდა, მეორემ კი შავებით ყაიმი შვედ პონტუს კარლსონთან (2433) გააფორმა.

4 ტურის თავზე დოჰაში მიმდინარე პრესტიჟულ ტურნირს 3.5-3.5 ქულით 5 მოჭადრაკე ლიდერობს: ანიშ გირი (ჰოლანდია, 2784), ჩაო ლი (ჩინეთი, 2750), უესლი სო (აშშ, 2775), მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2834) და მაქსიმ მატლაკოვი (რუსეთი, 2684).

**მანუჩარ გიორგაძე**

თითქმის...

# გვარდიოლა „სიტის“ მწვრთნელია



**მიუნხენის „ბაიერნის“ ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი პეპ გვარდიოლა, რომელიც სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს, ზაფხულში ინგლისურ „მანჩესტერ სიტის“ ჩაიბარებს. ამის შესახებ ავტორიტეტული გერმანული გამოცემა „კიკერი“ იუწყება.**

წყაროს ცნობით, გვარდიოლასთან თანამშრომლობით ლონდონის „ჩელსი“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ არიან დაინტერესებულნი, თუმცა, კატალონელი სპეციალისტი „ქალაქელებს“ უკვე შეუთანხმდა. პეპს მანჩესტერში მუშაობა თავის ძველ ნაცნობებთან ჩიკი ბეგირისტაინთან და ფერან სორიანოსთან ერთად მოუწევს, რომლებიც მის მხარდამხარ „ბარსელონაში“ მუშაობდნენ.

„მანჩესტერ სიტის“ ამჟამად მანუელ პელეგრინი წვრთნის, რომლის შედეგებითაც, როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელები კმაყოფილი არ არიან, გვარდიოლას კი ესპანეთსა და გერმანიაში გამარჯვებების შემდეგ ტიტულების მოგება ინგლისშიც შეეძლება.

**ბადრი იაშვილი**

პროტესტი

# ვან გაალმა პრესკონფერენცია დატოვა

**„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა პრესკონფერენცია დაწყებიდან 5 წუთში დატოვა. გამოცდილი ჰოლანდიელი სპეციალისტი ჟურნალისტების კითხვამ თავის მომავალთან დაკავშირებით გააღიზიანა და პროტესტის ნიშნად მათ შეკითხვებს აღარ უპასუხა.**



„მე უკვე გათავისუფლებული ვარ პოსტიდან და „მანჩესტერის“ მწვრთნელი ჟოზე მოურინიოა. თქვენი აზრით, კითხვებზე პასუხის გაცემა მინდა? — გეთანხმებით, რთული პერიოდი გვაქვს, მაგრამ 4 კვირის წინათ პრემიერლიგაში ლიდერები ვიყავით და ამდენივე დროში პირველ ადგილზე გადასვლა ისევ შეგვიძლია.

მე არ მსურს თქვენს კითხვებზე პასუხის გაცემა, ყველას გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს“, — ბრძანა ვან გაალმა.

**გიორგი შოთაძე**

ლეგიონერი

# შენგელიას 11 ქულა და 6 მოხსნა ბასკურ დერბიში

**ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მე-12 ტურში თორნიკე შენგელიას „ლაბორალ კუჩა“ სან სებასტიანს ეწვია და ბასკურ დერბიში აუტსაიდერ „გიპუსკოა ბასკეტს“ 91:83 სძლია.**

ქართველი ფორვარდი მოედანზე ერთ-ერთი შესამჩნევი ფიგურა გახლდათ. თორნიკე სასტარტო ხუთეულში იყო და 26 წუთში 11 ქულა, 6 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 პასი მოაგროვა.

შენგელიამ 6-დან 4 ორქულიანი და 3-ვე საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი ერთბაშად 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

სტუმართა რიგებში საუკეთესო ფრანგი ლეგიონერი ფაბიენ კოსიე იყო, რომელმაც 6-დან 5 სამქულიანი გამოიყენა და საბოლოოდ 30 წუთში 21 ქულა მიითვალა.



„ლაბორალ კუჩამ“ 9 მოგება და 3 მარცხი მოაგროვა და „ვალენსიას“, „რეალის“ და „ბარსელონას“ კვალად მე-4 ადგილზე იმყოფება.

შენგელიას კლუბს ესპანეთის ჩემპიონატში მომდევნო მატჩი 27 დეკემბერს შინ მადრიდულ „ფუენლაბრადასთან“ ელის. ამავე დღეს გიორგი შერმადინის „მორაბანკ ანდორა“ „გრან კანარიას“ უმასპინძლებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ სად ცხოვრობენ ბელადთა შთამომავლები? — ისტორია

# საბჭოთა ბელადების შვილები და შვილიშვილები პატრიოტობით არ გამოირჩევიან

**ამ ცოტა ხნის წინათ წავიკითხე, რომ სტალინის შვილიშვილი ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში და რუსულადაც ვერ ლაპარაკობს. და თითქოს საბჭოთა ბელადების შვილები და შვილიშვილები ცხოვრობენ უცხოეთში. ნუთუ ეს სიმართლეა?**

**ი.საველიევი, ტულა**

მართლაც, საბჭოთა ლიდერების ზოგიერთი შვილი ან წავიდა საზღვარგარეთ საცხოვრებლად, ან დაამთავრა სიცოცხლე სამწუხარო ვითარებაში. მაგალითად, **სტალინის შვილი ვასილი სვამდა** და, ოფიციალური ვერსიის თანახმად, გარდაიცვალა ალკოჰოლით მოწამვლისაგან, თუმცა, არ გაუკვეთავთ.

**ლეონიდ ბრეჟნევის ქალიშვილი გალინაც** ასევე ალკოჰოლიზმისგან იტანჯებოდა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

**სვამდა ანდროპოვის შვილი ვლადიმირიც,** ის იჯდა ციხეში ქურდობისთვის და 35 წლის ასაკში გარდაიცვალა, — უთხრა ჩვენ გაზეთს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **ვლადიმირ ლავროვმა**. — გამოდის, რომ კომუნისტური ბელადები, რომლებსაც ქვეყანა „ნათელ მომავალში" მიჰყავდათ, ყოველთვის ვერ ართმევდნენ თავს საკუთარი შვილების აღზრდასაც კი.



**ლენინს შვილები საერთოდ არ ჰყოლია.** შემონახულია ვლადიმერ ულიანოვის დედის წერილი ნადეჟდა კრუპსკაიასადმი, რომელშიც დედამთილს აინტერესებს, ხომ არ უნდა ველოდოთ „ჩიტუნიას მოფრენას". კრუპსკაიამ უპასუხა: „რაც შეეხება ჩემ ჯანმრთელობას, მე სავსებით ჯანმრთელი ვარ, მაგრამ „ჩიტუნიას მოფრენასთან" დაკავშირებით საქმე, სამწუხაროდ ცუდადაა: არანაირი ჩიტუნია მოფრენას არ აპირებს".

მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, რაც ერთად იცხოვრეს ლენინმა და კრუპსკაიამ, „ჩიტუნია" არ მოფრენილა.

### იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი)

სტალინის შვილი ვასილი 40 წლისა გარდაიცვალა. ქალიშვილი სვეტლანა, რომელიც 1966 წელს იმყოფებოდა ინდოეთში, მეუღლის დაკრძალვაზე, მივიდა ამერიკის საელჩოში და პოლიტიკური თავ-





შესაფარი ითხოვა. 1970 წელს ის გათხოვდა ამერიკელზე და თავისი სახელი შეცვალა ლანა პეტერსზე. შობა ქალიშვილი კრის ევანსი (ფოტოზე).

1984 წელს ჩამოვიდა სსრ კავშირში და აღიდგინა საბჭოთა მოქალაქეობა, თუმცა 2 წლის შემდეგ მეორედ თქვა მასზე უარი და ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა. უფროსმა შვილებმა, ვაჟიშვილმა და ქალიშვილმა, რომლებიც მან გაქცევის შემდეგ დატოვა სსრ კავშირში, მაინც ვერ გამონახეს საერთო ენა დედასთან. 2008 წელს თავის ერთ-ერთ იშვიათ ტელეინტერვიუში რუს ჟურნალისტთან სვეტლანამ უარი განაცხადა, ელაპარაკა რუსულ ენაზე, და ეს ახსნა იმით, რომ ის რუსი არაა: მამა — ქართველია, დედა კი — ნახევრად გერმანელი, ნახევრად — ბოშა. გარდაიცვალა 2011 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისი სხეული დაწვეს, ის, თუ სადაა დაკრძალული სტალინის ერთადერთი ქალიშვილი, უცნობია. სტალინის შვილიშვილი კრის ევანსი ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსული არ ესმის და ტანსაცმლის მაღაზიაში მუშაობს.

### ნიკიტა ხრუშჩოვი

**ნიკიტა ხრუშჩოვის შვილს სერგეის** მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი და ლენინური პრემიის ლაურეატის წოდება, 1991 წლიდან ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიიღო ამერიკის მოქალაქეობა.





მშობლიური გახდა ამერიკა ნინა ხრუშჩოვასთვისაც — ნიკიტა ხრუშჩოვის შვილთაშვილისთვისაც (ფოტო) მისი უფროსი შვილის ლეონიდის ხაზით, რომლის გარდაცვალების ვითარების გამო დღემდე დავობენ ისტორიკოსები.

უმალვე, ყირიმის რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით, რომელიც, როგორც ცნობილია, გადაეცა უკრაინას XX საუკუნის 50-იან წლებში, სწორედ ხრუშჩოვის ინიციატივით, ნინა ხრუშჩოვამ ოკეანის გაღმიდან მისცა ინტერვიუ და ნახევარკუნძულის მიერთებას ანექსია უწოდა. ხრუშჩოვის შვილთაშვილმა, შეთავსებით ამერიკის უნივერსიტეტის პროფესორმა, გამოთქვა იმედი, რომ დასავლეთის სანქციები დამღუპველად აისახება რუსეთის ეკონომიკაზე.

### მიხეილ გორბაჩოვი

უკანასკნელი საბჭოთა ლიდერის ერთადერთმა ქალიშვილმა **ირინა ვირგანსკაიამ** (მარცხნივ) ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს თავი რუსეთის მიღმა. ის ხშირად მოგზაურობს მსოფლიოში, მათ შორის პერიოდულადაა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ არის გორბაჩოვის ფონდის ოფისი, სადაც ირინა ვიცე-პრეზიდენტია.

გერმანული პრესა წერდა, რომ სსრ კავშირის ყოფილ პრეზიდენტს ბავარიის ალპებში აქვს ციხესიმაგრე (თავად იგი ამას უარყოფს). **გერმანიაში ცხოვრობს მიხეილ სერგის ძის უფროსი შვილიშვილი ქსენია.** „ბერლინში მე ბევრი მეგობარი მყავს, და გერმანიაში თავს ვგრძნობ თავისუფლად", — განუცხადა მან გერმანელ ჟურნალისტს.






საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფაკულტეტის მენეჯერის ვახტანგ საბახტარიშვილის ძმა

**მერაბ**

**საბახტარიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია გულწრფელად უსამძიმრებს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს დედის, ღვაწლმოსილი მეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის

**ლიანა**

**კვირიკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

◉ კრიმინალი

## აფთიაქის დამყაჩაღებელი დაკავებულია

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს მეხუთე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ვლადიმერ მ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ქუთაისში ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე"-ს აფთიაქი დააყაჩაღა. ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა ვლადიმერ მ-მ აფთიაქის ფარმაცევტს 500 ლარამდე თანხა გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას დანაშაულის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◉ ინფორმაცია

## საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში ნაძვის ხეების ფესტივალი გაიხსნა

**ფესტივალზე სხვადასხვა კომპანიების მიერ მორთული 20-მდე საიმიჯო ნაძვის ხე გამოიფინა. ექსპოზიციის ნახვა დამთვალიერებლებს შარდენის ქუჩაზე, ბამბის რიგსა და კინოს მოედანზე 3 იანვრამდე შეეძლებათ.**



**ნაძვის ხეების გამოფენის პარალელურად, შარდენის ქუჩასა და ბამბის რიგში, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა და ბენდ „Strawberry Fields"-ის კონცერტი მოეწყო. ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს გლინტვეინისა და საახალწლო ნუგბარის დაგემოვნების საშუალებაც ჰქონდათ.**

**ნაძვის ხეების ფესტივალი თბილისის მერიისა და „მეიდან ივენთსის" ორგანიზებით მოეწყო.**

## ბულვარი ჩემი მღელვარებისა

**ბათუმის ბულვარის კონცეფციაზე მსჯელობის მიზნით შეხვედრა სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მოქალაქე ჯემალ ქიქავამ ბულვარის განვითარების კონცეფცია შეხვედრის დასაწყისშივე გააპროტესტა და დანაშაულებრივ გარიგებად შეაფასა. მის პროტესტს ქართული ოცნების დეპუტატ დავით ბაციკაძისგან რეპლიკა მოჰყვა, რამაც მათ შორის დაპირისპირება გამოიწვია. ბულვარის განვითარების კონცეფციის განხილვა 3 საათზე მეტხანს გაგრძელდა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა იმ მიზეზით, რომ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში არ მიმდინარეობდა.**



## წინასაახალწლოდ




# „ჯადოსნური ქუდი“ და დაუვიწყარი საღამო ბავშვებისთვის

**საქართველოს ეროვნულმა ბოტანიკურმა ბაღმა ასოციაცია „ანიკას“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს უმასპინძლა. გაიმართა თეატრალური წარმოდგენა „ჯადოსნური ქუდი“, ილუზიონისტის შოუ, კონცერტი და მონაწილეთა ფოტოსესია ბოტანიკური ბაღის ულამაზეს ადგილებში. სანტა კლაუსმა და ფიფქიამ ბავშვებს საახალწლო საჩუქრები გადასცეს.**

საახალწლო ღონისძიების ჩატარება ქალაქ თბილისის მერიის, შპს „მილკო ფუდის“ და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.

„მილკო ფუდმა“ ბავშვებს საახალწლოდ ჯანსაღი პროდუქტი „ნუგბარი ხაჭო“, იოგურტები და ხაჭოს კრემი აჩუქა.

სპექტაკლი „მოგზაურობა წიგნებში“, რომელიც მხატვარმა მაგდა რევიშვილმა და მსახიობმა ნიკო კანკიამ შესთავაზეს, დაუვიწყარ წუთებად დარჩება მათს მოგონებებში.

**ავთანდილ ბექაური**




## მილოცვა

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, როლანდ იოსელიანი და ჯუმბერ გონაშვილი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ჩვენი ქვეყნის სახელოვან სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ პიროვნებასა და უახლოეს მეგობარს ბატონ **თამაზ ყაჭეიშვილს.**

## დედაქალაქი

# იქნებ სავალი გზა გაგვიადვილდეს...

**გასული საუკუნის 90-იან წლების დაუვიწყარ კოშმარს, რომელსაც დღეს „თბილისურ ძმათამკვლელ ომად“ მოვიხსენიებთ, რუსთაველის პროსპექტზე დედაქალაქის ერთ-ერთი გამორჩეული შენობა შეეწირა, რომელშიც არსებობის ბოლო წლებში მხატვრის სახლი ბინადრობდა.**



ის სახლი ომს ემსხვერპლა, მერე წლების მანძილზე იქ მოშიშვლებული „უპატრონო“ მიწა იყო, შემდეგ კი ბატონ გია ჯოხთაბერიძის მეცადინეობით თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის მშენებლობა დაიწყო.

კულტურის ასეთი ახალი კერის მშენებლობა, ცხადია, უდიდესი საქმეა, ამიტომაც მასთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი უმალ საზოგადოების ყურადღების ფოკუსში ექცევა. ასეა ამ ჯერზეც, ოღონდ მიზეზი, ცოტა არ იყოს, არცთუ სასიამოვნოა.

საქმე კი ის არის, რომ სამშენებლო მოედანი, რომელიც მომავალი მუზეუმის უკვე ამოყვანილ კედელს მიუყვება, ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით, ხის ღობითაა გამიჯნული, რომელსაც, თავის მხრივ, გზის სავალი ნაწილისგან რკინის ჯებირი ყოფს. ჰოდა, სწორედ ეს დამცველი ჯებირია აქ გამავალი კაცისთვის... ყველა დიდი საფრთხის შემცველი – ვინ იცის, როდის წამოკრავს იგი ფეხს, სად მოადენს ზღართანს და რომელ კიდურს მოიტეხს...

იქნებ ვინმემ მაინც მიაქციოს ყურადღება დედაქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე, ზედ პარლამენტის წინ ამ წაქცეულ მოაჯირს, ვიდრე, ღმერთმა დაიფაროს, ვინმეს ხიფათი მოეწეოდეს?

**დალი ხუნდაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი **არჩილ ხომასურიძე** თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

## დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 24 დეკემბრის ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ პრემიერ-მინისტრის სიტყვაში გაიპარა უზუსტობა, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით მკითხველებს. პირველი სვეტის ბოლოდან მესამე აბზაცში სიტყვა „შეუღწევადის“ ნაცვლად უნდა იკითხებოდეს **„შეღწევადი“.**

## ცინცხალი ანეკდოტები

**– იცი, რომ ცოლი გამცილდა?**

**– არ ვიცოდი. თავს გაუფრთხილდი. თუ მაინცდამაინც, იყიდე ერთი ბოთლი არაყი და მასში ჩაახრჩვე შენი დარდი.**

**– არაფერი არ გამოვა.**

**– რატომ, არყის საყიდელი ფული არა გაქვს?**

**– ფული მაქვს, მაგრამ დარდი – არა.**

* * *

**ოთხმოცდაათს მიღწეულმა ტიპმა ექიმს მიაკითხა:**

**– კი არაფერი მაწუხებს, მაგრამ მაინც გამსინჯეთ, მომავალ კვირას დაქორწინებას ვაპირებ და...**



**– ოო, ეს კარგია! საპატარძლო რამდენი წლისაა?**

**– თვრამეტის.**

**– უნდა იცოდეთ, – იშმუშნება ექიმი, – რომ საწოლში მეტისმეტ აქტიურობას შესაძლოა სასიკვდილო შედეგი მოჰყვეს!**

**– მოჰყვება და მოჰყვეს! მომდევნო კვირას სხვაზე დავქორწინდები!**

* * *

**– სადა გაქვთ ღებინების შემთხვევისთვის გათვალისწინებული პაკეტები? – ეკითხება მიხო სტიუარდესას თვითმფრინავში ჩასხდომის წინ.**

**– ჯერ არც ავფრენილვართ და რა ღებინებაზეა ლაპარაკი?**

**– რა შუაშია აფრენა! შეხედეთ, ეს ქალბატონი ჩემ გვერდით იჯდება!**

* * *

**ორი პარაშუტისტი ერთად გადმოხტა თვითმფრინავიდან.**

**– ეშმაკმა დალახვროს, ჩემი პარაშუტი არ იხსნება! – ღრიალებს ერთი.**

**– შენც ძალიან ნუ განიცდი, ეს ხომ საწვრთნელი ნახტომია.**

## კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე